როლანდ თოფჩიშვილი, ელენე მეძმარიაშვილი,
ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი

ჩვენი საქართველო 6

მოსწავლის წიგნი
მეორე ნაწილი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს

გამომცემლობა „კლიო“

როლანდ თოფჩიშვილი, ელენე მეძმარიაშვილი,
ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი

ჩვენი საქართველო, VI კლასი, მეორე ნაწილი

მოსწავლის წიგნი

სერიის რედაქტორი ელენე მეძმარიაშვილი

მხატვარი ივანე ყიფშიძე

რუკები ზურაბ ლაოშვილი
მანანა შეყილაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
მამუკა ლოლაძე
ნანა ესართია

ყდის დიზაინი
ელენე ვარამაშვილი

© გამომცემლობა „კლიო“, 2018
© როლანდ თოფჩიშვილი, ელენე მეძმარიაშვილი,
ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი, 2018

მეორე გამოცემა — 2019 წელი

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-481-26-0 (ორივე ნაწილის)
ISBN 978-9941-481-28-4 (მეორე ნაწილის)

შპს „გამომცემლობა კლიო“
აღმაშენებლის გამზ. №181-2,
თბილისი, 0112
ტელ.: (+995 32) 234 04 30
E-mail: book@klio.ge
www.klio.ge

შინაარსი

საქართველოს ფიზიკური რუკა 4
საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების რუკა 6

კარი 6

აფხაზეთი 8

6.1. აფხაზეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები 10
6.2. მეურნეობის დარგები აფხაზეთში 12
6.3. დასახლების ტიპები და ყოველდღიური ცხოვრება აფხაზეთში 16
6.4. აფხაზეთის მოსახლეობა 18
6.5. კულტურის ძეგლები აფხაზეთში 22
რა ვიცი და რა შემიძლია 25

კარი 7

თბილისი 26

7.1. საქართველოს დედაქალაქი – თბილისი 28
7.2. თბილისის დაარსება 30
7.3. თბილისის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა 32
7.4. თბილისის მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა 36
7.5. თბილისელთა ძირითადი სამეურნეო საქმიანობა 38
7.6. ვაჭრობა და სავაჭრო ადგილები თბილისში 40
7.7. ტრანსპორტის საშუალებები თბილისში 42
7.8. XIX საუკუნის ქალაქური ცხოვრება 46
7.9. წყალი თბილისელთა ცხოვრებაში ძველად და დღეს 50
7.10. დასვენება და გართობა თბილისში 52
რა ვიცი და რა შემიძლია 56

კარი 8

სახელმწიფო – ჩვენი საქართველო 58

8.1. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა 59
8.2. საქართველოს ტერიტორია და საზღვრები 60
8.3. საქართველოს მეზობლები 62
8.4. საქართველოს ბუნებრივი გარემო და ლანდშაფტი 64
8.5. საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები 66
8.6. ქართული დამწერლობის წარმოშობა 68
8.7. ქართლის სამეფოს შექმნა 70
8.8. ფარნავაზის რეფორმები 72
8.9. გზა ერთიანი სახელმწიფოს შექმნისკენ 74
8.10. დავით აღმაშენებელი 78
8.11. სახელმწიფო მმართველობა გაერთიანებულ საქართველოში 80
რა ვიცი და რა შემიძლია 83

საქართველოს ფიზიკური რუკა

41°
42°
43°
43°
42°
41°
41°
42°
43°
3232
მ. ურუპი
ყარაჩაევსკი
არხიზი
მ. არაბიკა 2656
ფსოუ
რიწის ტბა
2746
ბარუხის უღ.
თებერდა
5642
მ. იალბუზი
თირნიაუზი
2782
ბალუხორის
ბზიბ
ბიჭვინთა
ახალი ათონი
გუდაუთა
სოჭი 133
ამტყელის ტბა
4700
მ. უშბა
მესტია
5068
მ. შხარა
ენგური
ხაიში
ტყვარჩელი
ჯვრის წყლსცბ.
ლენტეხი
ოჩამჩირე
გალის წყლსცბ.
ჯვარი
გალი
წალენჯიხა
ცაგერი
ჩხორწყუ
ასხის მასივი
ამბროლაური
ზუგდიდი
მარტვილი
ანაკლია
ენგური
ჭაობრის წყლსცბ.
ხობი
ტყიბული
ტყიბულის წყლსცბ.
ჭიათურა
სენაკი
ხონი
ქუთაისი
ფოთი
ცხენისწყალი
აბაშა
თელავი
ზესტაფონი
ნოვოროსისკი 460
სამტრედია
ურეკი
ლანჩხუთი
ვანი
ბაღდათი
ხარაგაული
ჩოხატაური
ოზურგეთი
სტამბული 1085
ქობულეთი
2182
ბორჯომი
ზეკარის უღ.
ბათუმი
მ. მტირალა
1336
ბულაჩაური
ადიგენი
ბტკვარი
ხელვაჩაური
შუახევი
2025
ვალე
ახალციხე
ქედა
სარფი
ტრაბზონ 174
ხოფა
ბორჩხა
3183
მ. ზიარეთი
3165
მ. არსიანი
ბორჩხა
ართვინი
1984
სარალეთის უღ.
ბზუკვარი
ბზუკვარი
ართაანი
ჩოლდირის ტბა
ჭორეხი
1450
მ. ყაჯალაყი
ზ ღ ვ ა
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
ს ა ა ხ ლ ი ს
ქ ო ლ ხ ე თ ი ს
ს ა ქ ა ნ ე თ ი ს
ქ ო ლ ხ ე თ ი ს
ბ ზ ი ფ ი ს
ქ ე დ ი
ს ვ ა ნ ე თ ი ს
ქ ე დ ი
ბ ა ლ ყ


პირობითი აღნიშვნები
დასახლებული პუნქტები
სახელმწიფოს დედაქალაქი
ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი
მხარის ცენტრი
მუნიციპალიტეტის ცენტრი
სხვა დასახლებული პუნქტი
გზები
ავტომაგისტრალი
გზატკეცილი
რკინიგზა
საზღვაო გზა
საზღვრები
სახელმწიფოს
ავტონომიური რესპუბლიკის
მხარის
ჰიდროგრაფია
მდინარე
ტბა, წყალსაცავი
მყინვარი
ჭაობი
სიღრმეები და სიმაღლეები, მ
უფრო ღრმა
1500
500
200
100
0
100
200
500
1000
1500
2000
2500
3000
3500
უფრო მაღალი
სხვა აღნიშვნები
2494 სიმაღლითი ნიშნული
3367 უღელტეხილი
44°
45°
46°
42°
41°
ედამრაცია
ლჩიკი
ბაქსანი
ტერეკი
ელხოტოვო
ბესლანი
ნაზრანი
ალაგირი
ბურონი
ბაქსანი
ბერგი
ბერგი
ბერგ

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების რუკა



ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ:

1 - მაღრან-დვალეთი
2 - თრუსო
3 - მთის რაჭა
4 - კუდარო
5 - ხანდო
6 - ჭართალო
7 - გუდამაყარი
8 - თბილისი

სახელმწიფო საზღვარი

საზღვარი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის

ზღვის სანაპირო

ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘ 1: 2 400 000

კარი 6.
აფხაზეთი

ამ კარში გაიგებ, თუ როგორია აფხაზეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები, რა გავლენა აქვს ამას მისი დასახლების ტიპზე, ნაგებობებზე, მეურნეობის დარგებზე, ყოველდღიურ ცხოვრებაზე; ბუნების რა საოცრებების ნახვა შეიძლება იქ და კულტურის რომელი ძეგლებია ამ ულამაზეს მხარეში; როგორ და რატომ იცვლებოდა აფხაზეთის მოსახლეობა საუკუნეების განმავლობაში; გაეცნობი აფხაზეთიდან დევნილთა პრობლემებს და მიხვდები, რომ შენც, სხვებთან ერთად, ყველაფერი უნდა გააკეთო მათ მშობლიურ მიწაზე დასაბრუნებლად, იმ მეგობრობის აღსადგენად, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქართველებსა და აფხაზებს აკავშირებდა.

რ უ ს ე
კრასნოდარის მხარე
ფსოუ
მ. არაბიკა
2656
ბზიფი
ბიჭვინთა
ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალი
ბზიფი
ბზ ი
ბ ზ ი
ბ ზ ი
ბ


ᲗᲘᲡᲨᲘᲡ ᲛᲝᲠᲔᲡᲗᲐᲜ
ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ
ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲧᲐᲠᲐᲩᲐᲔᲕᲝ-ᲩᲔᲠᲙᲔᲖᲔᲗᲘᲡ
ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲛᲝᲜᲘᲡ
ᲥᲔᲓᲘᲗᲐᲕᲐᲠᲘᲥᲔᲓᲘ
ᲙᲝᲓᲝᲠᲘᲡ
ᲙᲝᲓᲝᲠᲘᲡ
ᲙᲕᲜᲔᲗᲘᲡ
ᲓᲘᲓᲘᲡ
ᲓᲘᲓᲘᲡ
ᲓᲘᲓ

6.1 აფხაზეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები

როგორია აფხაზეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები?

დავალება

1. საქართველოს რომელ წანილში მდებარეობს აფხაზეთი (საქართველოს სქემატური რუკა, გვ. 9)?
2. აფხაზეთის რუკის დახმარებით (გვ. 8-9) დაადგინე:

ა) აფხაზეთის მოსაზღვრე სახელმწიფო; აფხაზეთსა და ამ სახელმწიფოს დამაკავშირებელი უღელტეხილი.

ბ) საქართველოს რომელი მხარეები ესაზღვრება აფხაზეთს.

გ) ჩამოთვალე აფხაზეთის ზღვისპირა ქალაქები.

3. გაიხსენე ბერძნული კოლონიზაცია და ახალშენების თანამედროვე სახელწოდებები. იპოვე ისინი აფხაზეთის ტერიტორიაზე (რუკა, გვ. 4-5).

აფხაზეთი ისტორიული საქართველოს განუყოფელი ნაწილია. იგი მდებარეობს საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. დასავლეთიდან მას შავი ზღვა, ჩრდილოეთიდან კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი და მდინარე ფსოუ, ხოლო აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან კოდორის ქედი და მდინარე ენგური ესაზღვრება. აფხაზეთის დედაქალაქია **სოხუმი.**

აფხაზეთი, ძირითადად, მთაგორიანი მხარეა. იქ არის როგორც ტყეებით, ასევე მყინვარებით დაფარული ქედები. აფხაზეთის მთავარი მდინარეები – **კოდორი** და **ბზიფი** – წყალუხვობით გამოირჩევა. მთებში მდებარეობს საქართველოს ყველაზე ღრმა **რიწის ტბა**.

აფხაზეთში ზღვის ნოტიო და თბილი ჰავაა, რის გამოც იქ თბილი ზამთარი იცის.

სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება ქვანახშირი, ვერცხლისწყალი და საშენი მასალები. იქ ბევრი მინერალური წყაროა.

აფხაზეთში საყოველთაოდ ცნობილი საზღვაო კურორტები მდებარეობს. მხარე ასევე მდიდარია ბუნების საოცრებებითაც. ყველაფერი ეს დამსვენებლებსა და ტურისტებს იზიდავს.

აფხაზეთში არის მსოფლიოს ყველაზე ღრმა 2197 მეტრი სიღრმის კარსტული უფსკრული კრუბერი. იქვეა მსოფლიოში ყველაზე მოკლე მდინარეც – რეპრუა. მისი სათავე ზღვიდან 18 მეტრით არის დაშორებული. მდინარის სიგრძე, ზღვის ღელვისას, 6-10 მეტრამდე მოკლდება.

წყარო 1. მთა დომბაი-ულგენი, აფხაზეთის კავკასიონი

წყარო 2. კრუბერის უფსკრული

აფხაზეთის მთიან მხარეში ბევრი ჩანჩქერია. მათ შორის, ერთ-ერთი გამორჩეულია **გეგის ჩანჩქერი**. წყალი 55 მეტრიდან სამ ნაკადად ვარდება. მზიან დღეებში ჩანჩქერი უფრო ლამაზია: მილიონობით პაწაწინა წვეთი, რომლებიც გიგანტურ წყლის ჭავლს ქმნის, ბრილიანტებივით ბრწყინავს და სხვადასხვა მიმართულებით იფრქვევა. იქვეა გეგის მღვიმე.

საქართველოში ყველაზე ღრმა რიწის ტბა ულამაზესია. ტბის ფერი წელიწადის დროების მიხედვით იცვლება: გაზაფხულზე მომწვანო ფერისაა, ზამთარში – მოცისფრო.

წყარო 4. რიწის ტბა



წყარო 5. ახალი ათონის მღვიმე

აფხაზეთის შავი ზღვის კურორტს – **ახალ ათონს** ტურისტები მისი მღვიმის გამოც სტუმრობენ. მღვიმეში რვა ფართო და მაღალჭერიანი დარბაზია. ისინი სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის სტალაგმიტებით, სტალაქტიტებით, ქვის ფარდებითა და გაქვავებული ჩანჩქერებით არის მორთული. აფხაზეთში ბზიფის ქედზე კიდევ ერთი საოცრებაა – ეს არის ყველაზე მძლავრი მიწისქვეშა მდინარე – **მჭიშთა**.

შავი ზღვის სანაპირო ზოლში **ბიჭვინთა-მიუსერას ნაკრძალია**. აქ 100 ჰექტარზე უძველესი ფიჭვის ტყეებია.

წყარო 3. გეგის ჩანჩქერი

დავალება

4. შეადგინე, რუკის დახმარებით (გვ. 8-9), ტურისტული მარშრუტი აფხაზეთის შენთვის ყველაზე საინტერესო ბუნების საოცრებების სანახავად.
5. მოიძიე დამატებითი ინფორმაცია ახალი ათონის მღვიმეზე. გაიხსენე იმერეთში არსებული მღვიმეები V კლასის სახელმძღვანელოდან „ჩვენი საქართველო“. დაწერე წერილი აფხაზი თანატოლის სახელზე და შესთავაზე ერთობლივი ექსკურსია იმერეთში ამ მღვიმეების სანახავად. ასევე სთხოვე, იყოს შენი მეგზური ახალი ათონის მღვიმეში.

6.2 მეურნეობის დარგები აფხაზეთში

რა გავლენა აქვს გეოგრაფიულ მდებარეობას აფხაზეთის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებაზე?

სოფლის მეურნეობა

XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში აფხაზთა მეურნეობის წამყვანი დარგი მესაქონლეობა, განსაკუთრებით, წვრილფეხა მესაქონლეობა – თხის მოშენება იყო. მსხვილფეხა მესაქონლეობას მხოლოდ ბარში მისდევდნენ. მოშენებული ჰყავდათ აგრეთვე ცხენი, ჯორი, სახედარი. ცხენს ძირითადად გადაადგილებისთვის და ცხენოსნობაში იყენებდნენ, იშვიათად, ტვირთის გადასაზიდად. ბუნებრივი პირობების გამო, აფხაზებმა საზამთროდ თივის დამზადება არ იცოდნენ. ისინი ჩრდილოეთ კავკასიის სამთო საძოვრებს თავისუფლად იყენებდნენ მაშინ, როდესაც კოდორის ხეობაში ჯოგისთვის, საძოვრების გამოყენების გამო, მათ სვანებისთვის გადასახადი უნდა გადაეხადათ.

წყარო 1. ჩაის პლანტაციები აფხაზეთში

აფხაზების ყოფაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ნადირობასა და მეფუტკრეობას. მონადირეები მთებსა და თოვლში გადასაადგილებლად განსაკუთრებულ რკინის ნალსა და თხილამურებს იყენებდნენ. ნადირობდნენ მწევარითა და სანადირო ფრინველებით. ყველა აფხაზურ კარმიდამოს წინ ჰქონდა საფუტკრეები. ეწეოდნენ ტყის მეფუტკრეობასაც – გარეული ფუტკრის თაფლის შეგროვებას.

სამიწათმოქმედო კულტურებიდან მოჰყავდათ ფეტვი, ღომი, ქერი. მოგვიანებით, ძირითადი კულტურა სიმინდი გახდა. აფხაზეთში მიწათმოქმედებაში, ძირითადად, ქალები იყვნენ დასაქმებული.

მეხილეობის გვერდით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მევენახეობას. დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, აფხაზეთშიც მხოლოდ მაღლარი ვაზი იყო გავრცელებული. XIX საუკუნის ბოლოს შეტანილმა ვაზის უხვმოსავლიანმა ამერიკულმა ჯიშმა იზაბელამ დიდი კონკურენცია გაუწია ადგილობრივ ჯიშებს, ამიტომ ზოგიერთი მათგანი გაქრა. მოჰყავდათ აგრეთვე ბოჭკოვანი კულტურები (სელი, კანაფი, ბამბა), ასევე თამბაქოც.

აფხაზეთში საუკეთესო ბუნებრივი პირობები აღმოჩნდა, ასევე, მაღალი ხარისხის ჩაისა და ციტრუსების გასაშენებლად.

წყარო 2. ციტრუსების ბაღი აფხაზეთში

საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებისგან განსხვავებით, აფხაზები მეთევზეობითაც იყვნენ დაკავებული. ისინი მთლიანი მორებიდან გამოთლილი ნავებით ზღვაში დელფინებზე ნადირობდნენ.

დავალება

1. რით ახსნი აფხაზეთში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას? პასუხის გასაცემად, გაიხსენე აფხაზეთის გეოგრაფიული მდებარეობა და მისი ჰავა.
2. რა მსგავსება და რა განსხვავებაა აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში მეურნეობის დარგების განვითარებას შორის? დამატებით რომელი დარგებია განვითარებული აფხაზეთში? შეადგინე რვეულში ვენის დიაგრამა და შეავსე იგი.
3. რა როლი ჰქონდა ქალს აფხაზეთის სამეურნეო განვითარებაში?
4. შენი აზრით, რატომ არიან აფხაზები კარგი მოცურავეები (წყარო 3).
5. როგორ ფიქრობ, რისთვის იყენებდნენ აფხაზები დაჭერილ დელფინებს. მოიძიე ინტერნეტში ინფორმაცია დელფინების შესახებ. რისთვის იყენებენ მათ დღეს?

წყარო 3. რუსი ოფიცერი ფ. ტორნაუ დელფინებზე აფხაზების ნადირობის შესახებ

...ნავი ზოგჯერ იძირება დახოცილი თევზის სიმძიმისგან ან ყირავდება დელფინის დაჯახებით, მაგრამ აფხაზებს ეს არ აშინებთ, ვინაიდან ისინი ძალიან კარგად ცურავენ.

ხელოსნობა, მრეწველობა, ტურიზმი

ძველად აფხაზეთში, ძირითადად, შინამრეწველობა იყო განვითარებული. ოჯახისთვის აუცილებელ ყველა ნივთს სახლში ამზადებდნენ, მაგრამ იყვნენ ხელოსნები, რომლებიც ამას ბაზრისთვის, გასაყიდად აკეთებდნენ. ამზადებდნენ სამუშაო იარაღს, საოჯახო ჭურჭელს, ქსოვილებს, ნაბდებს, ტანსაცმელს, თოფისწამალსა და სხვ. აფხაზეთში დამზადებული საბრძოლო იარაღი საკმაოდ მაღალი ხარისხის და ოქრო-ვერცხლით მორთული იყო. იქ ჯაჭვის პერანგებსაც აკეთებდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე, ანუ რუსეთის იმპერიის საქართველოში გაბატონებამდე, აფხაზეთში გემთმშენებლობის ტრადიციაც არსებობდა.



წყარო 4. სოხუმის ნავსადგური XX საუკუნის დასაწყისში

დღეს აფხაზეთის მეურნეობაში წამყვან როლს ქვანახშირის მოპოვება (ტყვარჩელში), ასევე, ელექტროენერგეტიკა ასრულებს. აფხაზეთის შავიზღვისპირა კურორტები კი, განსაკუთრებით, გაგრა, ბიჭვინთა, ახალი ათონი და სხვ. ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს.

წყარო 5. ტყვარჩელი

ლექსიკონი

ელექტროენერგეტიკა – მრეწველობის დარგი, რომელიც ელექტროენერგიას გამოიმუშავებს.

წყარო 6. გაგრა

წყარო 7. სოხუმის ნავსადგური

წყარო 8. ბიჭვინთის სანაპირო

დავალება

6. რაზე მეტყველებს აფხაზეთში საბრძოლო მასალისა და იარაღის წარმოების მაღალი დონე?
7. გაიხსენე აფხაზეთის მეზობელი საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების კურორტები და დაგეგმე, რუკის დახმარებით (გვ. 6-7), ერთობლივი ტურისტული მარშრუტი აფხაზეთისა და, მაგალითად, სვანეთის ან სამეგრელოს კურორტების მოსანახულებლად და რომელიმე მათგანში დასასვენებლად.
8. მოიძიე ინტერნეტში ინფორმაცია აფხაზეთში ტურიზმის განვითარების შესახებ. დაწერე წერილი აფხაზი თანატოლის სახელზე და სთხოვე რჩევა, თუ რომელ კურორტზე ჯობია დასვენება და რატომ.

6.3 დასახლების ტიპები და ყოველდღიური ცხოვრება აფხაზეთში

რა ახდენდა გავლენას აფხაზთა დასახლების ტიპებსა და ყოველდღიურობაზე?

აფხაზური სოფელი

აფხაზური სოფელი, როგორც წესი, დიდ ფართობზე იყო გაშლილი. იგი, ძირითადად, ტყიან ადგილას იყო გაშენებული. სოფლებში ოთხკუთხა ან მრგვალი, თივით გადახურული თიხით შელესილი „**ფაცხები**“ (აფხაზურად, **აფაცხა**) იდგა. შეძლებულ აფხაზებს ეზოში ორი სახლი – დიდი სტუმრებისთვის, ხოლო პატარა – ოჯახისთვის ჰქონდათ აშენებული. ხშირად იქვე იდგა მიწის იატაკიანი **სამზადი სახლი**, რომელსაც შუაცეცხლი ჰქონდა. ოჯახის წევრები ყველაზე მეტ დროს იქ ატარებდნენ.

თუ გლეხის კარ-მიდამოს დაწნული ან მორებით აგებული ღობე ჰქონდა, მსხვილი მიწათმფლობელის დიდ სახლს კოშკებიანი გალავანი და მის გაყოლებაზე ღრმა თხრილი იცავდა. XIX საუკუნიდან აფხაზებმა ისეთივე ოდასახლების აშენება დაიწყეს, როგორიც დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებში იყო.

ლექსიკონი

სამზადი სახლი – სამზარეულო.

უბიხი – ჩრდილოეთ კავკასიაში აფხაზეთის მეზობლად მცხოვრები ხალხი, რომელიც 1864 წელს ოსმალეთის იმპერიაში გადასახლდა.

დავალება

1. როგორ ფიქრობ, რატომ აშენებდნენ აფხაზები სახლებს ტყიან ადგილებში.
2. საქართველოს შენთვის ცნობილ რომელ მხარეებში შენდებოდა სახლები ტყის პირას და რატომ?
3. სად შენდებოდა საქართველოში კიდევ ფაცხა და რატომ?
4. აფხაზების რომელ ტრადიციაზე მეტყველებს ეზოში ორი სახლის არსებობა?
5. რა მსგავსება არის აფხაზურ და ქართულ ტრადიციებს შორის?

წყარო 1. აფხაზი ქალი ფაცხის წინ, XIX საუკუნის შუახანები

აფხაზთა ტრადიციული საკვები და სამოსი

აფხაზთა ტრადიციული საკვები იყო ღომი, რომელსაც „**აბსთას**“ უწოდებდნენ. ჩვეულებრივ, მას ფეტვის ბურღულისგან ხარშავდნენ. XIX საუკუნეში ის სიმინდის ფქვილმა შეცვალა. წარსულში ღომს ცივად მიირთმევდნენ და მაგიდაზე ნაჭრებად დაჭრილი მიჰქონდათ. მათთვის ეს პური იყო.

წარჩინებული აფხაზი მამაკაცის ტანსაცმელი იყო ჩოხა, რომელსაც შინნაქსოვი შალისგან კერავდნენ. ქალებს ეცვათ გრძელი, წელში გამოყვანილი კაბა (ნაზა). XVI-XVIII საუკუნეებში აფხაზი მამაკაცის ტრადიციული სამოსის ძირითადი კომპონენტი იყო ქეჩის ნაბადი, რომელიც საერთო კავკასიუ-

რი მოვლენაა და ადამიანს როგორც სიცივისგან, ასევე სიცხისა და წვიმისგან იცავდა. ნაბდის ქუდი, თავდაპირველად, დამახასიათებელი ვიწრო, მსხვილად წაწვეტებული, ზემოთ აწეული ბოლოთი გამოირჩეოდა. იმ პერიოდში აფხაზებს, ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხის – ჩერქეზების მსგავსად, ჩვეულებად ჰქონდათ თავის გადაპარსვა და მხოლოდ თხემზე გრძელი თმის დატოვება. სამაგიეროდ, ისინი წვერს არ იპარსავდნენ. თანდათანობით, ქართველებთან კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის ნიადაგზე, თავის პარსვის ეს ჩვეულება მათ დაივიწყეს. რაც შეეხება ქალებს, ისინი კაბის ქვეშ ერთგვარ ნაოჭიან შარვალს იცვამდნენ. ის წელზე და წვივებზე თასმებით იკვრებოდა და კაბის ქვეშ არ ჩანდა.

წყარო 2. აფხაზი მამაკაცი

წყარო 3. უბიხი და აფხაზი ლიდერების შეხვედრა სოჭში, 1841 წელი

დავალება

6. რაზე მიანიშნებს ის, რომ ღომი აფხაზებისთვის პურივით იყო?
7. საქართველოს კიდევ რომელ მხარეში იყენებდნენ ღომს ამ მიზნით?
8. მიუთითე წყარო 3-ზე, რამდენი აფხაზია შეხვედრის მონაწილე. როგორ მიხვდი?
9. გააკეთე ცხრილი: რა მსგავსება და რა განსხვავებაა საქართველოს სხვადასხვა მხარეში მცხოვრებთა სამოსსა და ნაბდის ქუდებს შორის (წყარო 3)? შენი აზრით, რა არის მსგავსებისა და განსხვავების მიზეზები?

6.4 აფხაზეთის მოსახლეობა

რა იწვევდა აფხაზეთის მოსახლეობის ცვლილებებს?

აფხაზეთში ისევე, როგორც მთელს საქართველოში, მრავალი ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენელი ცხოვრობს – აფხაზები, ქართველები, რუსები, ბერძნები, სომხები და სხვ. საუკუნეების განმავლობაში მისი მოსახლეობის შემადგენლობა იცვლებოდა. ძველ დროს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზები მდინარე კოდორამდე ცხოვრობდნენ, კოდორის სამხრეთ-აღმოსავლეთით – ქართველები, კერძოდ, მეგრელები, კოდორის ხეობაში კი – სვანები. სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მკვიდრთა მსგავსად, აფხაზები მაშინ ქრისტიანები იყვნენ და მეზობელი მეგრელებივით მიწათმოქმედებას მისდევდნენ. მოგვიანებით, დაახლოებით XVIII საუკუნისთვის, აფხაზებს შორის მუსლიმები მომრავლდნენ. მიწათმოქმედების ნაცვლად, მათში მეცხოველეობა, კერძოდ, თხის მოშენება – მეთხეობა გაბატონდა. მათი ენა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ხალხის – ადიღეელების ენის მონათესავეა. დროთა განმავლობაში აფხაზებს ბევრი ქართველი (მეგრელი) შეერია, რაც მათ გვარებზეც აისახა, რომელთა ნახევარზე მეტი ქართულია.

წყარო 1. აფხაზი მამაკაცები

წყარო 2. გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზების ქართველებთან მსგავსების შესახებ

აფხაზები არიან „კაცნი მგვანენი მეგრელთა და უმეტესად ცქვიტნი და ტანოვანნი, წერწეტნი“.

ქართულ სახელმწიფოში ხანგრძლივად ცხოვრების გამო, აფხაზებმა ქართული კულტურის დიდი გავლენა განიცადეს. აფხაზთა თავად-აზნაურობა ყოველთვის ქართველი თავადაზნაურობის ნაწილად მიიჩნევდა თავს. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზებს საკუთარი საოჯახო სამეტყველო ენა ჰქონდათ, მათთვის სალიტერატურო, საღვთისმეტყველო და სახელმწიფო ენა ქართული იყო. ამას იქ არსებული ქრისტიანული კულტურის ძეგლებიც ადასტურებს, რომლებზედაც ქართული წარწერებია. საუკუნეების განმავლობაში ქართველებს პატარ-პატარა სახელმწიფოები ჰქონდათ: ცალკე იყო აფხაზთა სამეფო, რომელიც გარკვეულ პერიოდში უკვე მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა და დედაქალაქიც ქუთაისში ჰქონდა; ასევე ქართლის, კახეთისა და ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფოები. საქართველოს გაერთიანების პროცესში აფხაზთა სამეფოც იყო ჩართული. ვინაიდან გაერთიანებული სამეფოს მეფე პირველად აფხაზთა სამეფოში ეკურთხა, ქართველ მეფეთა ტიტულატურა ასე იწყებოდა: **„მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა...“**

ლექსიკონი

ტიტულატურა – ტიტულების ერთობილობა.

შესახედავად აფხაზები არაფრით განსხვავდებიან დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ქართველებისგან. აფხაზეთში აფხაზური ენა, ქართულთან ერთად, სახელმწიფო ენაა.

წყარო 3. ქართველი მეცნიერი გიორგი შარვაშიძეზე

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი აფხაზი მოღვაწე გიორგი შარვაშიძე ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე იყო; იბრძოდა ქართული ენისა და კულტურის განვითარებისთვის; ქართულ ენაზე წერდა ლექსებსა და სტატიებს. თბილისის თეატრში მისი პიესები იდგმებოდა. იგი აფხაზებისა და ქართველების კეთილი ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა. გიორგი შარვაშიძე საქართველოს „ჩვენ სამშობლო ივერიას“ უწოდებდა.

წყარო 4. გიორგი შარვაშიძე

ფაქტი, რომელიც ადასტურებს, რომ ქართული ენა აფხაზებისთვის უცხო არ იყო

1714 წელს კუნძულ მალტაზე ქართველ მწერალს სულხან-საბა ორბელიანს დახვდა აფხაზი ტყვე, რომელიც ქართულად ლაპარაკობდა. თვით სულხან-საბა ორბელიანი ისევე, როგორც თამარ მეფის ისტორიკოსი, აფხაზებს ქართველებად მიიჩნევდა.

ხუტუნია შარვაშიძე

საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე აფხაზები საქართველოს თავისუფლებისა და კეთილდღეობისთვის იბრძოდნენ. ამ თვალსაზრისით, გამოირჩეოდა აფხაზი თავადაზნაურობა. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული პიროვნება იყო ხუტუნია შარვაშიძე. 1757 წელს იმერეთის მეფე სოლომონ პირველი თურქეთიდან შემოჭრილ მტერს სოფელ ხრესილთან შეებრძოლა. ხრესილის ომში მტრის წინააღმდეგ ხუტუნია შარვაშიძეც იბრძოდა. მან ამ ომში თავი დასდო. იქამდე კი საკუთარი ხმლით, პირდაპირი შეტაკების დროს, ხანში შესულმა მტრის 16 მებრძოლი გაანადგურა.

დავალება

1. როგორ იცვლებოდა აფხაზეთის მოსახლეობა საუკუნეების განმავლობაში? შენი აზრით, რა იყო ამ ცვლილებების მიზეზი.
2. რატომ არის აფხაზური გვარების ნახევარზე მეტი ქართული?
3. რა მეტყველებს იმაზე, რომ ქართველები და აფხაზები საუკუნეების განმავლობაში გვერდიგვერდ მეგობრულად ცხოვრობდნენ? ჩამოწერე ამის დამადასტურებელი ფაქტები.

ლექსიკონი

მუჰაჯირობა – არაბული სიტყვაა და ნიშნავს გადასახლებას, არის XIX საუკუნეში კავკასიის მკვიდრი მუსლიმი მოსახლეობის, ძირითადად, იძულებითი გადასახლება თურქეთის იმპერიაში.

აფხაზეთიდან დევნილები

ჯერ კიდევ 1867 და 1877 წლებში, რუსეთის იმდროინდელი ხელისუფლების იძულებით, აფხაზების დიდმა ნაწილმა მშობლიური კერა მიატოვა და უცხო ქვეყანაში, თურქეთში გადასახლდა. ამას **„მუჰაჯირობა“** ეწოდება, რაც აფხაზი ხალხისთვის ტრაგედია იყო. იგი დაკავშირებული იყო ე.წ. კავკასიის ომებთან, რომლებსაც კავკასიელები დამოუკიდებლობისთვის აწარმოებდნენ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. მთიელთა ოსმალეთში გადასახლებით რუსეთს ამ მხარეში პოლიტიკური სიმშვიდის მიღწევა, გამოთავისუფლებულ მიწებზე კი ერთგული ხალხის დასახლება სურდა.

წყარო 5. მთიელები ტოვებენ სოფელს. პეტრე გრუზინსკის ნახატი

წყარო 6. მუჰაჯირები სამსუნის ნავსადგურში (თურქეთი), XIX საუკუნის მეორე ნახევარი

დავალება

4. დაადგინე, წყაროების 5 და 6 მიხედვით, მუჰაჯირობა ნებაყოფლობითი იყო თუ იძულებითი.

XX საუკუნისთვის საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მცხოვრები აფხაზების რაოდენობა შემცირდა. 1990-იანი წლების მონაცემებით, აფხაზები 90 ათასი, ქართველები კი 300 ათასი იყვნენ. იმავე ათწლეულში, ამჯერად, უკვე თანამედროვე რუსეთის ხელისუფლებამ ქართველებსა და

აფხაზებს შორის შეიარაღებული დაპირისპირების წაქეზება მოახერხა და თავადაც ჩაერთო საქართველოს წინააღმდეგ ომში. საბრძოლო მოქმედების გამო, ქართველების უმრავლესობამ, სხვა ეროვნების ადამიანებთან ერთად, იძულებით დატოვა აფხაზეთი და საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა. ამის შედეგად, მოსახლეობის რაოდენობა განახევრდა. დღეს აფხაზები ქართველებთან გაუცხოებული არიან.

დავალება

5. როგორ აისახა XIX და XX საუკუნეებში რუსეთის ომები კავკასიაში აფხაზებისა და აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ბედზე?

წყარო 7. დევნილები უღელტეხილზე (საკენი), 1993 წელი

წყარო 8. დევნილები სოხუმიდან გამგზავრების მოლოდინში, 1993 წ.

ჟიული შარტავა – ეროვნული გმირი

ომის დროს აფხაზეთის მთავრობის მეთაური ჟიული შარტავა იყო. მან არ დატოვა ალყაშემორტყმული სოხუმი და მოვალეობის შესრულება გააგრძელა. დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე, შარტავამ მეგობარს უთხრა: „ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვიდრე შეგვიძლია და თუ სიკვდილი გვიწერია, არც ეს უნდა იყოს დიდი ტრაგედია“. თავგანწირვისთვის მას ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

დავალება

6. მოიფიქრე, როგორც საქართველოს მოქალაქემ, რა გზით შეიძლება აფხაზების შემორიგება? წარმოიდგინე შენი თავი მათ ადგილას. რისი გაგონება გაგეხარდებოდა ქართველი ბავშვებისგან? დაწერეთ კოლექტიური წერილი თქვენი აფხაზი თანატოლების სახელზე, რომელშიც შესარიგებლად „გაუწვდით ხელს“; გამოაქვეყნეთ კლასში, კედლის გაზეთში, საუკეთესო წერილები.
7. გაიხსენე თანამედროვე გმირები, რომლებიც საქართველოს ერთიანობისთვის იბრძოდნენ. რა აერთიანებს მათ?

6.5 კულტურის ძეგლები აფხაზეთში

როგორ ასახავს აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები მხარის ისტორიას?

აფხაზეთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით მდიდარი მხარეა. აქ აღმოჩენილია **დოლმენები** – უძველესი ქვის სამარხი ნაგებობები (ძვ.წ. III-II ათასწლეული). ზოგიერთი ქვის წონა 50 ტონას აღემატებოდა. წინა კედელში ამოჭრილი ხვრელი ქვის საცობით იხურებოდა.

წყარო 1. დოლმენი აფხაზეთში

აფხაზეთში ქრისტიანული კულტურის არაერთი ძეგლია.

ზღვის სანაპიროზეა X საუკუნის **ბიჭვინთის გუმბათოვანი ტაძარი**. ბიჭვინთას დიდ პიტიუნტს უწოდებს ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (ძვ. წ. I საუკუნე). იმ დროს იქ რომაელთა გარნიზონი იდგა და რომის იმპერიას მომთაბარე ჩრდილოელთა შემოსევებისგან იცავდა. იქვეა IV საუკუნის

წყარო 2. X საუკუნის ბიჭვინთის გუმბათოვანი ტაძარი

წყარო 3. მოზაიკით შემკული ბაზილიკის იატაკი, ბიჭვინთა, IV ს.

მდიდრულად გაფორმებული **ბაზილიკა**. დღემდე შემორჩენილია მისი მოზაიკით შემკული იატაკი. ბიჭვინთა დიდი ხნის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრი იყო, სადაც მისი მეთაური – ბიჭვინთის კათალიკოსი იჯდა. XVI საუკუნის შუახანებში ბიჭვინთის საკათალიკოსო რეზიდენცია გელათში გადაიტანეს. გადატანის მიზეზი ტერიტორიის უცხოელთა მიერ დაპყრობა, ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობის დასავლეთ საქართველოში, ძირითადად, სამეგრელოში გადასახლება და მათ ადგილზე ჩრდილოეთ კავკასიელთა დასახლება იყო.

ლექსიკონი

ბაზილიკა – მოგრძო, ნავისებრი ფორმის უგუმბათო ტაძარი.

სოხუმთან ახლოს მდინარე ბესლეთზე შემორჩენილია თაღოვანი ხიდი, რომლის სიმაღლე 6 მეტრია. ხიდზე შემორჩენილია ქართული წარწერები.

წყარო 4. თაღოვანი ხიდი მდინარე ბესლეთზე ძველი ქართული დამწერლობით (ასომთავრულით)

აფხაზეთში ქართული საეკლესიო არქიტექტურის რამდენიმე ნიმუშია. მათ შორის არის **ბედიის ტაძარი**. ის 999 წელს ერთიანი საქართველოს პირველმა მეფემ **ბაგრატ III-მ** ააშენა. ბედია საეპისკოპოსო ცენტრიც იყო. ტაძრის ამშენებელი მეფე

წყარო 5. ბედიის ტაძარი დღეს განადგურებულია. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ვერ ახერხებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ძეგლების დაცვას

წყარო 6. ბაგრატ III-ის ფრესკა

წყარო 7. ბედიის ოქროს ბარძიმი

და მისი დედა, დედოფალი გურანდუხტი იქ არიან დაკრძალული. ფრესკაზე, სხვებთან ერთად, მეფე ბაგრატიც არის გამოსახული. იქვე არიან გამოსახული დადიანთა გვარის წარმომადგენლებიც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ტერიტორია მაშინ სამეგრელოს მთავრებს ეკუთვნოდათ. ბედიაში ინახებოდა **ოქროს ბარძიმი** ანუ თასი ქართული წარწერით. იგი ბაგრატ მესამის შეკვეთით დაამზადეს.

აფხაზეთში ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები სხვაც ბევრია. მათ შორის არის **მოქვისა** (X საუკუნე) და **დრანდის საეპისკოპოსო ტაძრები** (VIII საუკუნე). დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი სალოცავია **ილორის წმიდა გიორგი**. ის შედიოდა ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში. დამშვენებულია ქართული წარწერებით. ილორში სალოცავად თავს იყრიდა მთელი სამეგრელოს მოსახლეობა. მას სვანეთის მკვიდრნიც ეთაყვანებოდნენ.

წყარო 8. ილორის წმინდა გიორგის ეკლესია რუსული გუმბათით. რესტავრირებულია საოკუპაციო ხელისუფლების მიერ

VIII-XI საუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აგებულ ტაძრებს ბევრი საერთო აქვს აფხაზეთიდან ყველაზე დაშორებული კახეთის ანალოგიური ტიპის ძეგლებთან.

დავალება

1. რა ერქვა წინათ ბიჭვინთას? რომელ სახელმწიფოსთან არის დაკავშირებული მისი სახელი?
2. რით არის აღსანიშნავი თაღოვანი ხიდი მდინარე ბესლეთზე (წყარო 4)? კიდევ სად არის ასეთი ხიდები საქართველოში?
3. რას გვამცნობს ბედიის ტაძრის ფრესკა (წყარო 6)?
4. როგორ ფიქრობ, საიდან ვიცით, რომ ილორის წმინდა გიორგის სალოცავი ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა (წყარო 8). რა ბედი ეწია მას დღეს?

დავალება

5. მოიძიე ინფორმაცია, რა მდგომარეობაშია აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურის ძეგლები. იმსჯელე, შენ და შენს თანატოლებს რისი გაკეთება შეგიძლიათ, რომ ამ პრობლემას საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს.
6. რაზე მეტყველებს აფხაზეთსა და კახეთში არსებული ტაძრების მსგავსება?
7. დაიტანე დროის ხაზზე გაკვეთილის ტექსტში მოხსენიებული აფხაზეთში ქრისტიანობამდელი და ქრისტიანული კულტურის ძეგლების შექმნის თარიღები.

რა ვიცი და რა შემიძლია

მოამზადე პრეზენტაცია PPT-ში თემაზე: „მეურნეობის ყველაზე პერსპექტიული დარგი აფხაზეთში“. პრეზენტაციის საკვანძო კითხვაა: მეურნეობის რომელი დარგის განვითარება არის უფრო პერსპექტიული აფხაზეთისთვის – სოფლის მეურნეობის თუ ტურიზმის?

ამისთვის:

- გაიხსენე
  - ა) სოფლის მეურნეობის რომელი დარგებია განვითარებული აფხაზეთში და როგორ?
  - ბ) რომელი კურორტებია აფხაზეთში? მოიძიე ინტერნეტში მათზე ინფორმაცია, რა ღირსშესანიშნაობებია იქ?
- დახაზე ცხრილი რვეულში და ჩამოწერე: „რა უპირატესობები აქვს სოფლის მეურნეობას და რა ტურიზმს“:

სოფლის მეურნეობა	ტურიზმი

- წარმოადგინე კლასის წინაშე პრეზენტაცია PPT-ში.
- მოაწყეთ დისკუსია პრეზენტაციის შემდეგ, თუ რომელი დარგის განვითარება არის ყველაზე პერსპექტიული აფხაზეთში. დაასაბუთეთ თქვენი აზრი.



წყარო 1. ტურისტები ახალი ათონის მღვიმეში

კარი 7.
თბილისი

ამ კარში ისწავლი, თუ სად მდებარეობს და როგორი ბუნებრივი პირობები აქვს თბილისს; ლეგენდას მისი დაარსების შესახებ; გაიცნობ მის დამაარსებელს – ვახტანგ გორგასალს; გაიგებ, თუ როგორ გახდა თბილისი მრავალეთნიკური, მრავალრელიგიური და მრავალკულტურული ქალაქი; ტრადიციულად, რა საქმიანობით იყვნენ დაკავებული თბილისელები, რა სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობდნენ ისინი წინათ და რით სარგებლობენ დღეს; როგორი იყო ყოველდღიური ცხოვრება XIX საუკუნის თბილისში; რას ნიშნავს დედაქალაქი; რატომ ითვლება თბილისი როგორც საქართველოს, ასევე მთელი კავკასიის ცენტრად; რატომ იზიდავს იგი დღესაც არა მარტო საქართველოს ყველა მხარეში მცხოვრებ ადამიანებს, არამედ მილიონობით ტურისტს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.


პირობითი აღნიშვნები
დასახლებული პუნქტები
თბილისის დასახლება
სხვა დასახლებული პუნქტი
კურორტი
გზები
გამზირი
ქუჩა
რკინიგზა
საზღვრები
მხარის
სხვა აღნიშვნები
სიმაღლითი ნიშნული
მდინარე
ტბა, წყალსაცავი
ჩანჩქერი
ზაჰესი
629 მ. ყეენის გორა
თბილისის წყალსაცავი
684
მ. კვირიკობის მთა
პატარა ლილო
დიდი ლილო
912
მ. დიდი გორა
მ. ძეგვი
632
მ. მახათა
628
მ. მთაწმინდა
720
ოქროყანა
ტაბახმელა
0
2 კმ

7.1 საქართველოს დედაქალაქი – თბილისი

სად მდებარეობს და როგორი ბუნებრივი პირობები აქვს თბილისს?

საქართველოს დედაქალაქი თბილისი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. აქ ერთმანეთს ესაზღვრება ქვემო ქართლი და შიდა ქართლი. ქალაქი მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზე, **თბილისის ქვაბულშია** გაშენებული. თბილისის ტერიტორიაზე მტკვარს ერთვის მდინარე ვერე, რომლის ხეობაშიც ქალაქის რამდენიმე უბანი მდებარეობს.

თბილისის ქვაბული ზღვის დონიდან 350-400 მეტრზეა, ხოლო მის ირგვლივ მდებარე ზოგიერთი მთის კალთის სიმაღლე 1500 მეტრამდე აღწევს. საშუალო და დაბალი სიმაღლის მთები, ძირითადად, მტკვრის მარჯვენა მხარესაა, ხოლო მარცხენა მხარეს უმეტესად ვაკე რელიეფია. თბილისში მდებარეობს ოთხი – ლისის, კუს, გლდანის დიდი და პატარა ტბები, ასევე, წყალსაცავი, რომელსაც მოსახლეობა **თბილისის ზღვას** უწოდებს.

ძველი თბილისი, დღევანდელთან შედარებით, მცირე ფართობზე მდებარეობდა. მისი გეოგრაფიული საზღვრები წარსულშიც ხშირად იცვლებოდა და დღესაც იცვლება. თავდაპირველი თბილისი დღევანდელი **აბანოთუბნის** ტერიტორიაზე დაარსდა. მოგვიანებით, იგი მდინარის ორივე ნაპირზე გავრცელდა და, ძირითადად, სიგრძეზე განვითარდა. XX საუკუნის დასაწყისში, თბილისი სიგრძეში ძალიან გაიზარდა და ქალაქის უბნებს შორის კომუნიკაცია გართულდა. ქალაქი პროპორციულად რომ განვითარებულიყო, ხელისუფლებამ მთაწმინდის პლატოზე ახალი საცხოვრებელი უბნის გაშენება გადაწყვიტა. იმისათვის, რომ ახალი უბანი ქალაქისთვის დაეკავშირებინათ, **ფუნიკულიორი** ანუ საბაგირო რკინიგზა გაიყვანეს. როდესაც ის აშენდა და ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა იგეგმებოდა, პირველი მსოფლიო ომი

წყარო 1. თბილისის ცენტრალური უბნები და შემოერთებული სოფლები

წყარო 2. თბილისი, 1671 წელი. ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის ნახატი

წყარო 3. თბილისი, 1701 წელი.
ფრანგი მოგზაურის ტურნეფორის ნახატი

დაიწყო და მშენებლობა შეწყდა. მოგვიანებით, მთაწმინდის (მამადავითის) ქედზე გასართობი პარკი და ფუნიკულიორი მოეწყო, იქვე აშენდა სატელევიზიო ანძა და თბილისის ერთ-ერთ გეოგრაფიულ სიმბოლოდ იქცა.

თბილისი განსაკუთრებით გაფართოვდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან. იმ დროს შეიქმნა ბევრი ახალი უბანი: დიღმის მასივი, თემქა, გლდანი, დიდი დიღომი, ვარკეთილი, ვაზისუბანი, სანზონა და სხვა. თბილისმა საბოლოო სახე XXI საუკუნეში მიიღო. ახალი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, თბილისის შემადგენლობაში მოექცა მის გარშემო არსებული სოფლები: წავკისი, შინდისი, კოჯორი, წყნეთი, სოფელი დიღომი, ლისი, მუხათწყარო და სხვა.

დავალება

5. მოიძიე დამატებითი ინფორმაცია ფრანგი მოგზაურების შარდენისა და ტურნეფორის შესახებ. როდის იმოგზაურეს მათ საქართველოში? როდის იყვნენ თბილისში?
6. დაადგინე, ინტერნეტის დახმარებით, რა უბნებია თანამედროვე თბილისში.

დავალება

1. როგორ ფიქრობ, რა იწვევდა თბილისის გეოგრაფიული საზღვრების ცვლილებას?
2. შენი აზრით, თბილისის რომელი ნაწილია გამოსახული წყაროზე 2.
3. აღწერე, როგორია მოგზაურთა თვალით დანახული სხვადასხვა დროის თბილისი (წყაროები 2 და 3).
4. შეადარე ერთმანეთს წყაროები 1, 2 და 3 და ივარაუდე ცვლილებების მიზეზები.

7.2 თბილისის დაარსება

რას მოგვითხრობს ლეგენდა თბილისის დაარსების შესახებ?

ვახტანგ გორგასალი

ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, ვახტანგ გორგასლის მამა მირდატი ადრე გარდაიცვალა და 7 წლის ვახტანგს მხოლოდ დედოფალი საგდუხტი ზრდიდა. ვახტანგი ტახტზე 15 წლის ავიდა და 45 წელი იმეფა. იგი 60 წლის ასაკში ბრძოლაში მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა. მთელი თავისი ცხოვრება სპარსეთთან ომში გაატარა. იგი ცდილობდა საქართველოს სამეფო სპარსელი დამპყრობლებისგან დაეცვა. ვახტანგ გორგასალი ეწინააღმდეგებოდა საქართველოში სპარსელთა რელიგიის გავრცელებას და ბოლომდე ქრისტიანობის დამცველი იყო. მისი დიდი მცდელობით, საქართველოს ეკლესიამ **ავტოკეფალია**, ანუ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამ დამსახურების გამო, საქართველოს ეკლესიამ ვახტანგ გორგასალი წმინდანად შერაცხა.

თბილისის დაარსება მეფე **ვახტანგ გორგასალის** სახელს უკავშირდება. ქართლის სამეფოს დედაქალაქი, თავდაპირველად, მცხეთა იყო. მაგრამ V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის გადაწყვეტილებით, ახალი დედაქალაქის გაშენება დაიწყეს და მას **თბილისი** უწოდეს. მის დაარსებასთან დაკავშირებით ლეგენდა არსებობს.

ლეგენდა თბილისის დაარსებაზე

ვახტანგ მეფე ხშირი ტყით დაფარულ ადგილებში ნადირობდა. მონადირეთა მწევრებმა ხოხობი ააფრინეს. ხოხობს კი მეფის მიმინო გამოედევნა. ორივე ფრინველი თვალს მიეფარა. მონადირეები კვალს მიჰყვნენ და ბოლოს მიადგნენ ადგილს, სადაც მიწიდან ცხელი წყალი ამოდიოდა. ორივე ფრინველი ცხელ წყალში იყო ჩამხრჩვალი. თანმხლებმა პირებმა მეფეს მოახსენეს, რომ წყალს სამკურნალო თვისებები ჰქონდა. მეფეს ადგილი ძალიან მოეწონა და ბრძანება გასცა, რომ იქ ქალაქის მშენებლობა დაეწყოთ, ახალაშენებულ ქალაქს კი თბილისი უწოდა.

ვახტანგ გორგასალს საქართველოს დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადმოტანა სურდა. მაგრამ იგი ამას ვერ მოესწრო. მალე მტრებთან ბრძოლაში ის დაიღუპა. მამის დაწყებული საქმის დამთავრება კი მის შვილს – **დაჩის** მოუწია, რომელმაც საბოლოოდ დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადაიტანა. იმ მიდამოებს, სადაც ცხელი წყალი დღესაც ამოდის, აბანოთუბანი ეწოდება. თავისი არსებობის მანძილზე დედაქალაქს ქართველები ტფილისს უწოდებდნენ. მხოლოდ 1936 წელს შეცვალეს ეს სახელი თბილისად. მართალია ქალაქი თბილისი ვახტანგ გორგასალმა დააარსა, მაგრამ ამ ტერიტორიაზე ადამიანები უფრო ადრეც ცხოვრობდნენ.

წყარო 1. ვახტანგ გორგასლის ძეგლი, რომელიც ფუნიკულიორსა და სატელევიზიო ანძასთან ერთად თბილისის სიმბოლოა



წყარო 2. აბანოთუბანი, ადგილი, სადაც ლეგენდის მიხედვით ხოხობი და მიმინო ცხელ წყალში დაიხრჩო

წყარო 3. ვახტანგ გორგასლის ფრესკა (ვახტანგ გორგასალი ყველა ფრესკაზე როგორც მებრძოლი წმინდანია გამოსახული)

ვახტანგ გორგასლის შესახებ ისტორიამ ბევრი ცნობა შემოგვინახა. ცნობილია, რომ იგი ძალიან მაღალი და ფიზიკურად ძლიერი იყო. ის ისე სწრაფად დარბოდა, რომ შეეძლო გაქცეულ ირემს დასწეოდა. ვახტანგ გორგასლის შესახებ ბევრი წიგნია დაწერილი და არაერთი დოკუმენტური ფილმია გადაღებული.

რატომ ერქვა ვახტანგ მეფეს გორგასალი?

„გორგასალი“ მეფე ვახტანგის ზედმეტსახელი იყო და არა გვარი. იგი მას სპარსელებმა შეარქვეს. მეფე ვახტანგი ბრძოლის დროს ისეთ მუზარადს ატარებდა, რომელსაც უკან ლომი და წინ მგელი ჰქონდა გამოსახული, სპარსულად კი გორგასალი მგლისთავას ნიშნავს, ამიტომ ბრძოლის ველზე, სადაც ვახტანგ მეფე გამოჩნდებოდა, შეშინებული სპარსელები გარბოდნენ და იძახდნენ „მგლისთავა მოდისო“.

წყარო 4. კადრი თანამედროვე ფილმიდან ვახტანგ გორგასალზე

დავალება

1. როგორ ფიქრობ, შესაძლებელია თუ არა თბილისის დაარსების შესახებ არსებული ლეგენდა სიმართლე იყოს? პასუხი დაასაბუთე.
2. გამოიყენე ინტერნეტ რესურსები და გაეცანი ინფორმაციას თბილისში ჩატარებული არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ. რა დასკვნის გაკეთება შეგიძლია?
3. გაიხსენე განვლილი მასალა, როგორ და სად აშენებდნენ ქართველები ქალაქებს და შეადარე, რამდენად შეესაბამება თბილისის ტერიტორია ქალაქისთვის საჭირო ადგილმდებარეობას.
4. შეავსე რვეულში ცხრილი

ვიცი	მინდა ვიცოდე	ვისწავლე

5. შეადგინე რვეულში ორსვეტიანი ცხრილი: „ლეგენდა და სინამდვილე“. შენი აზრით, გაკვეთილის ტექსტში მოცემულ ინფორმაციაში, რა არის ლეგენდა და რა სინამდვილე.

7.3 თბილისის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა

რატომ სახლდებოდა და დღესაც სახლდება თბილისში სხვადასხვა წარმოშობისა და განსხვავებული რელიგიის ადამიანი?

სომხები თბილისში

ლექსიკონი

ეთნიკური – იგივე ეროვნული.

თბილისი ევროპიდან აზიისაკენ, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გამავალ გზებზე მდებარეობს. ამიტომ აქ ოდითგანვე სხვადასხვა ხალხი ხშირად იყრიდა თავს. ზოგიერთი მათგანი დროებით სახლდებოდა, ზოგიც – სამუდამოდ. ასე რომ, საქართველოს დედაქალაქში, ქართველებთან ერთად, ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ სომხები და სპარსელები, ბერძნები და რუსები, გერმანელები და პოლონელები, ოსები და იეზიდები, ებრაელები და თურქები, ასირიელები და ლეკები... საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლის დროისათვის, თბილისში ყველაზე მეტნი სომხები იყვნენ. თუმცა სომხებად წოდებულ მოსახლეობას შორის ყველა ეთნიკური სომეხი არ იყო. მათ შორის სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევარი ქართველებიც იყვნენ, რომლებსაც რელიგიური განსხვავებულობის გამო სომხებს უწოდებდნენ. თბილისის სომხური მოსახლეობის მშობლიური ენა ქართული იყო. მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისში სომხური მოსახლეობის დიდი ჯგუფის მოსვლის შემდეგ, თბილისელი სომხებისთვის წამყვან ენად უკვე სომხური იქცა.

წყარო 1. თბილისელი სომხები, XIX საუკუნის მეორე ნახევარი

ჰოვანეს თუმანიანი – სომეხი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მთელი ცხოვრება მიუძღვნა სომხებისა და ქართველების მეგობრობას. მის სახლში იკრიბებოდნენ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. დღეს იქ სახლ-მუზეუმია.

ცვლილებები თბილისის მოსახლეობის შემადგენლობაში

ნებაყოფლობით მიგრაციასთან ერთად, რუსეთის იმპერია თბილისში მიზანმიმართულად ასახლებდა სხვადასხვა ხალხს და ეთნიკურად აჭრელებდა არა მხოლოდ თბილისს, არამედ მთლიანად საქართველოსაც. მაგრამ ქართველებს სხვა ხალხებთან თანაცხოვრების დიდი ხნის ტრადიცია ჰქონდათ. სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანები თბილისში მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. ენობრივი და ეთნიკური სხვაობა დაპირისპირებას არ იწვევდა.

წყარო 3. სპარსელები თბილისში, XIX საუკუნის მეორე ნახევარი

წყარო 2. ინგლისელი დიპლომატი სერ ჯონ ოლივერ უორდროპი თბილისის შესახებ

იქ ცხოვრობენ არა მარტო ქართველები, არამედ რუსები, სომხები, სპარსელები, თათრები, ცოტა ევროპელები, სახელდობრ, გერმანელები, ფრანგები და სხვანი. თბილისი ისეთი ქალაქია, სადაც ადამიანმა შეიძლება იცხოვროს ისე, რომ სევდა არ სტანჯავდეს.

მირზა ფათალი ახუნდოვი

თბილისში მოღვაწეობდა ცნობილი აზერბაიჯანელი მწერალი და განმანათლებელი მირზა ფათალი ახუნდოვი (1812-1878). იგი თარჯიმნად მუშაობდა თბილისში, მეფისნაცვლის კანცელარიაში, თურქულ და სპარსულ ენებს ასწავლიდა თბილისის სამაზრო სასწავლებელში. მირზა ფათალი ახუნდოვის პიესით 1873 წელს იწყება აზერბაიჯანული პროფესიული თეატრის ისტორია. მას „თათარ მოლიერსაც“ უწოდებდნენ. ახუნდოვის პიესა „ხანის ვეზირი“ პირველად ცნობილმა ქართველმა პოეტმა აკაკი წერეთელმა თარგმნა. იმავე წელს ის ქართულ სცენაზეც დაიდგა. ცნობილი ქართველი პოეტის გრიგოლ ორბელიანის ინიციატივით, მირზა ფათალი ახუნდოვი დაკრძალეს თბილისში, ახლანდელი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, სადაც ადრე მუსლიმური სასაფლაო იყო. დღეს ორთაჭალაში ახუნდოვის სახელობის ლიტერატურული კაფე-სალონი არსებობს, რომელიც თბილისელების ერთ-ერთი საყვარელი ადგილია.

წყარო 4. მირზა ფათალი ახუნდოვის ძეგლი თბილისის 73-ე საჯარო სკოლის ეზოში

დავალება

1. როგორ ფიქრობ, რატომ გახდა თბილისი სხვადასხვა ხალხის თავშეყრის ადგილი?
2. რას საქმიანობდნენ, წყარო 1-ის მიხედვით, სომხები თბილისში?
3. შენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს კონკრეტული პიროვნების საქმიანობას ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებაში, შენ რა წვლილის შეტანა შეგიძლია ამ მეგობრობაში და როგორ?
4. განმარტე, წყარო 2-ის მიხედვით, რას შეიძლება ნიშნავდეს უორდროპის გამონათქვამი თბილისის შესახებ.
5. ივარაუდე, წყარო 3-ის მიხედვით, რა შეიძლებოდა ყოფილიყო სპარსელების ძირითადი საქმიანობა თბილისში?

XIX საუკუნის დასაწყისიდან თბილისის მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა არა მხოლოდ საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან გადმოსახლებული მოსახლეობის, არამედ არაქართული ეთნიკური ჯგუფების ხარჯზეც. ძველ თბილისს კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებდა. ზაფხულში მოსახლეობა მატულობდა, ზამთარში კი იკლებდა. სხვა ქვეყნებიდან თბილისში საშოვარზე წამოსული მოსახლეობა სწორედ ზაფხულში შემოდიოდა. XX საუკუნის დასაწყისში მოსახლეობის თითქმის ნახევარი დროებით მაცხოვრებელი იყო. მათ შორის ყველაზე მეტი ყოველთვის სპარსელები იყვნენ. 1864 წელს ზაფხულში სპარსელების რაოდენობა თუ 7000 იყო, ზამთარში ანუ მუდმივად მაცხოვრებელი მხოლოდ 529 კაცი დარჩა.

გარკვეული დროის შემდეგ თბილისში ეთნიკური ვითარება შეიცვალა. მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ქართველები შეადგენენ, მაგრამ მათ გვერდით კვლავ ცხოვრობენ სხვა ეროვნების წარმომადგენლები. სპარსელების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, სომხებისა და აზერბაიჯანელების რაოდენობა კი დაახლოებით იგივეა. თბილისში სომხები და აზერბაიჯანელები წარსულში, ძირითადად, ძველ უბნებში – აბანოთუბანსა და ავლაბარში ცხოვრობდნენ, დღეს კი სხვა უბნებშიც სახლობენ.

გერმანელები თბილისში

თბილისში XIX საუკუნეში, რუსეთის ხელისუფლების ნებართვით, გერმანელების საკმაოდ დიდი ჯგუფი დასახლდა. მათ სამშობლო რელიგიური და ეკონომიკური მიზეზების გამო დატოვეს და თავი საქართველოს შეაფარეს. გერმანელებმა ბევრ სიახლეს ჩაუყარეს საფუძველი. მათ უკავშირდება თბი-

წყარო 5. გერმანული ეკლესია, იგივე კირხე, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1946-1947 წლებში, მარჯანიშვილის მოედნის რეკონსტრუქციის დროს, იმდროინდელმა ხელისუფლებამ გერმანელ სამხედრო ტყვეებს დაანგრევინა.

ლისში ევროპული პურ-ფუნთუშეულის საცხობების, ლუდის ქარხნებისა დაარსება, სხვადასხვა ხელობის განვითარება. გერმანელებმა საქართველოში რვა დასახლება შექმნეს, მათ შორის, ორი თბილისში იყო: ერთი ახლანდელი დავით აღმაშენებლის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე, მეორე კი დიდუბეში.

წყარო 6. გერმანელი ა. ტუნიეფის ღვინის მაღაზია.
წარწერა: „კახური ღვინოები“

საბჭოთა ხელისუფლებამ 1941 წელს გერმანელები შუა აზიის ქვეყნებში გადაასახლა. მიუხედავად ამისა, მათი კვალი თბილისში დღესაც არის. მაგალითად, გერმანელების აშენებული შენობები განახლებული დავით აღმაშენებლის გამზირზე თბილისელებისა და უცხოელი ტურისტების მოწონებას იმსახურებს.

წყარო 7. თბილისში გერმანელი არქიტექტორის პროექტით აშენებული სასახლე (1895 წ.), რომელშიც დღეს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმია

დავალება

6. რატომ გადმოსახლდნენ გერმანელები საქართველოში?
7. როგორ ფიქრობ, რა შედეგები მოყვა გერმანელების ჩასახლებას თბილისში და, ზოგადად, საქართველოში.
8. მოიძიე ინფორმაცია გერმანულ მემკვიდრეობაზე თბილისში და მასწავლებელთან ერთად დაგეგმე ექსკურსია მის სანახავად.
9. შეადგინეთ ორსვეტიანი ცხრილი „რას საქმიანობდნენ სომხები, სპარსელები და გერმანელები თბილისში“.

7.4 თბილისის მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა

რომელი რელიგიური ჯგუფები გვხვდება თბილისში?

ლექსიკონი

ლუთერანი – ერთ-ერთი ქრისტიანული პროტესტანტული სარწმუნოების მიმდევარი, რომელიც XVI საუკუნეში გერმანიაში აღმოცენდა.

მრევლი – მოსახლეობა, რომელსაც საეკლესიო მომსახურებას უწევს ერთი კონკრეტული ეკლესია.

ნარიყალას ისტორია

თბილისის დაარსებისთანავე აშენდა ციხესიმაგრე, რომელსაც დედაციხეს უწოდებდნენ. იგი მტრებმა მრავალჯერ დაანგრიეს. ერთ-ერთმა მათგანმა მას ნარიყალა ანუ პატარა ციხე შეარქვა. იქიდან კარგად ჩანს სხვადასხვა რელიგიის მიმდევართა საოლოცავი ნაგებობები.

დავალება

1. როგორ ფიქრობ, რამ გამოიწვია თბილისში სომხური ეკლესიების რაოდენობის მატება ერთი საუკუნის განმავლობაში.

მრავალეთნიკურ თბილისში რელიგიური მრავალფეროვნებაც არსებობდა. ძველ თბილისში ერთმანეთთან ძალიან ახლოს მდებარეობს ქართული მართლმადიდებლური ტაძრები, სომხური ეკლესია, სინაგოგა და მეჩეთი. აქ იყო აგრეთვე კათოლიკური ეკლესია. XIX საუკუნის დასაწყისიდან იქ გერმანელი **ლუთერანები** ცხოვრობდნენ. მათაც ჰქონდათ თავისი სამლოცველო სახლი, რომელსაც **კირხე** ერქვა. ცალკე ეკლესია ჰქონდათ ბერძენ მართლმადიდებლებს. ქალაქში ბევრი მართლმადიდებლური ეკლესია იყო. მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში, კათოლიკობისაგან განსხვავებით, წირვა-ლოცვა საკუთარ, ეროვნულ ენაზე მიმდინარეობს: ქართველები ქართულად ლოცულობენ, რუსები – რუსულად, ბერძნები – ბერძნულად... ამიტომ თბილისელმა ბერძნებმა საკუთარი ეკლესია ააშენეს, რომ საკუთარ ენაზე ელოცათ. 1825 წელს თბილისში, თორმეტ ქართულ ეკლესიასთან ერთად, ოთხი რუსული და ორი ბერძნული ეკლესიაც არსებობდა.

წყარო 1. თბილისის მუსლიმური მეჩეთი ნარიყალას ციხის ფონზე

თბილისში ყველაზე მნიშვნელოვანი მართლმადიდებლური ცენტრი იყო **სიონის ტაძარი**, რომელიც სპარსეთის მმართველმა აღა მაჰმად ხანმა შეურაცხყო. ხანძარმა ფრესკების დიდი ნაწილი გაანადგურა. მაგრამ ქართველებმა მისი განახლება მალევე შეძლეს. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში თბილისში ხუთი სომხური ეკლესია იყო, XIX საუკუნის პირველ ნახევარში – ათი.

ისლამი ორ ძირითად მიმართულებად იყოფა: **შიიზმი** და **სუნიზმი**. თბილისში შიიტებიც ცხოვრობდნენ და სუნიტებიც. ამიტომ ქალაქში არსებობდა როგორც შიიტური, ასევე, სუნიტური მეჩეთები. შიიტური მეჩეთი შუა საუკუნეებიდან არ-

სებობდა, სუნიტური კი მხოლოდ XIX საუკუნეში ააგეს. ამ მხრივაც თბილისს თავისებურება ჰქონდა. საბჭოთა პერიოდში ერთ-ერთი მეჩეთი ხელისუფლებამ დაანგრია. მას შემდეგ, ორივე მუსლიმური თემი, რომლებიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დაპირისპირებულია, თბილისში ერთ მეჩეთში, ერთმანეთის გვერდიგვერდ ლოცულობს.

ძველად, თბილისში, კლდის უბანში ცეცხლთაყვანისმცემელთა სალოცავი – **„ათეშგა“** – არსებობდა. ძველი სპარსელების ამ სალოცავმა ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია. თბილისის რელიგიურად განსხვავებული მოსახლეობა გაჭირვებისა თუ ავადმყოფობის დროს ერთმანეთის წმინდანებს მიმართავდა. მამადავითის ეკლესიაში, ქართველებთან ერთად, დავითობას თავს იყრიდნენ სომხები, თათრები, ქურთები... ასევე, იგივე ხდებოდა ბარბარობას ნავთლუღში.

XX საუკუნეში საქართველოსა და თბილისში გავრცელდა რამდენიმე ახალი რელიგია, რომელიც მანამდე ქალაქისთვის უცნობი იყო.

მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის შემდეგ მსოფლიოს ძირითადი რელიგიები შეთანხმდნენ, რომ არ შეეცდებიან ერთმანეთს **მრევლი** წაართვან და საკუთარი სარწმუნოება ძალით უქადაგონ. თანამედროვე ეპოქაში ქვეყნების უმრავლესობაში, მათ შორის, საქართველოში რელიგიური თავისუფლებაა და ყველას შეუძლია სწამდეს იმ რელიგიის, რომელიც სურს.

წყარო 2. თბილისის წმინდა ნიკოლოზის ბერძნული ეკლესია

წყარო 3. კინორეჟისორი და მხატვარი სერგო ფარაჯანოვი თბილისის შესახებ

მე დავიბადე და გავიზარდე დიად ქალაქში, სადაც ასურელი და უკრაინელი, ქურთი და რუსი, სომეხი და აზერბაიჯანელი, ქართველი და ბერძენი, თურქი და პოლონელი, ესპანელი და გერმანელი, ესტონელი და ებრაელი ერთ დიდ ოჯახად, ერთ დიდ სახლში ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ. ამ ქალაქს თავისი კოლორიტი, თავისი სურნელი, თავისი სიყვარული და თავისუფლება აქვს. ამ ქალაქში ერთ მოედანზე დგას რუსული, სომხური და ქართული ეკლესიები, ებრაული სინაგოგა და მუსლიმური მეჩეთი... ეს სასწაულია, სასწაული, რომელიც მუდამ ჩემს გულშია.

დავალება

2. რით შეგიძლია ახსნა ის ფაქტი, რომ მხოლოდ თბილისის მეჩეთში სუნიტები და შიიტები ერთად მშვიდობიანად ლოცულობენ და სხვა ქვეყნებში ერთმანეთთან დაპირისპირებული არიან?
3. როგორ შეაფასებ თბილისის მოსახლეობის საქციელს, როდესაც გაჭირვების დროს ისინი ერთმანეთის წმინდანებს მიმართავენ დასახმარებლად?
4. რა დასკვნის გამოტანა შეგიძლია წარმოშობით სომეხი თბილისელის სერგო ფარაჯანოვის სიტყვებიდან (წყარო 3).

დავალება

5. მოიძიე კიდევ რა ტიპის რელიგიური თემები არსებობს დღევანდელ საქართველოში და რატომ არის თავმოყრილი მათი უმეტესობა თბილისში.
6. შეადგინე, თანაკლასელებთან ერთად, თბილისის იმ ადგილების სია, რომელთა დათვალიერება გსურთ ცოდნის გამდიდრებისთვის. წარუდგინეთ თქვენი არგუმენტები და სია სკოლის ხელმძღვანელობას და სთხოვეთ თბილისში ექსკურსიის ორგანიზება. მოაწყეთ კლასში გამოკითხვა და ექსკურსიის განრიგი ამის მიხედვით დაგეგმეთ.

7.5 თბილისელთა ძირითადი სამეურნეო საქმიანობა

ხელოსნობის რომელი დარგები იყო განვითარებული თბილისში?

თბილისური ამქრები

ძველად თბილისელთა სამეურნეო საქმიანობაში წამყვანი დარგი იყო ხელოსნობა. ხელოსნებს თბილისში ხელოსანთა გაერთიანება – **ამქარი** ჰქონდათ. თბილისელი ხელოსნები ამქრებს ხელობის მიხედვით ქმნიდნენ. თუმცა, თბილისში ამქრები ეთნიკური კუთვნილების მიხედვითაც არსებობდა. მაგალითად, მკალავები მხოლოდ ლეკები იყვნენ. ცალკე ამქარი ჰქონდათ სპარსელ მეჩექმეებსა და თათარ კალატოზებს. ამქრის შემადგენლობაში, გარდა ოსტატებისა, **ქარგლები** და **შეგირდებიც** შედიოდნენ. ქარგალი ხელოსნის დაოსტატების შუა და აუცილებელი საფეხური იყო. ქარგლამდე კი შეგირდის კურსის გავლა იყო აუცილებელი.

ამქარში გაერთიანებული ხელოსნები წელიწადში ერთხელ „ამქრობას“ მართავდნენ. ამ დროს შეგირდის ოსტატად ხელდასხმა ხდებოდა. ამქრის **უსტაბაში** ხელდასასმელ ქარგალს ჯერ დალოცავდა, შემდეგ ცალი ხელით ორივე ხელის ცერს დაუჭერდა და ორივე ლოყაზე სილას სამ-სამჯერ შემოკრავდა. სილის შემოკვრა ხელდასასხმელის მომწიფების სიმბოლურ ნიშნად მიაჩნდათ. ამავე დროს, ცხვარსაც სწირავდნენ

დავალება

1. დააკვირდი თბილისის ამქრის საზოგადოების სურათს (წყარო 1). მიაქციე ყურადღება გარემოს, დეტალებს, ჩაცმულობას და ა.შ. რა მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ნამდვილად ამქრის წარმომადგენლები არიან? როგორ ფიქრობ, რატომ არ არიან მათ შორის ქალები?

წყარო 1. თბილისური ამქრის საზოგადოება, XX საუკუნის დასაწყისი

მსხვერპლად. ასე იღებდნენ საამქრო გაერთიანებაში ახალ წევრს. ამქრებს ქართულწარწერიანი დროშები ჰქონდათ.

თბილისში ხელოსნობის მრავალი დარგის წარმომადგელები მოღვაწეობდნენ. ესენი იყვნენ: მექალამნეები, ხარაზები, სხვადასხვა დანიშნულების იმდროინდელი ტანსაცმლის მკერავები ანუ თერძები და სხვ. თბილისში დიდი რაოდენობით იყვნენ მჭედლები, რომელთა ამქარში გაერთიანებული იყვნენ აგრეთვე ოქრომჭედლები, მეთუნეები, მექვაბეები და სხვ. დურგალთა/ხუროთა ამქარში ხეზე მომუშავე ხელოსნები ერთიანდებოდნენ. მეპურეთა ამქარში, ძირითადად, რაჭველები შედიოდნენ.

თბილისი იყო არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი სამხრეთი კავკასიის, როგორც ხელოსნობის, ასევე ვაჭრობის დიდი ცენტრი. ხელოსნური ნაწარმი იყიდებოდა უამრავ დუქანსა თუ ბაზარში.

წყარო 2. ამქრის დროშა

ახალი ამქრები - პროფესიული კავშირები

მართალია თბილისში დღეს ამქრები აღარ არის შემორჩენილი, მაგრამ კვლავ არსებობს ხელოსნებისა და სხვა სფეროს წარმომადგენელთა გაერთიანებები. ახლა მათ პროფესიული კავშირები ანუ **პროფკავშირები** ეწოდება. პროფკავშირის ძირითადი მოვალეობაა მის წევრებზე ზრუნვა და სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზება. ამა თუ იმ შრომითი უფლების დასაცავად, პროფკავშირი ხშირად საყოველთაო გაფიცვის ორგანიზატორია. პროფკავშირში გაწევრიანების დროს აღარ ტარდება რაიმე სპეციალური რიტუალი. პროფკავშირი შეიძლება იყოს როგორც სპეციალობების მიხედვით შექმნილი, ასევე საერთო.

ძველად თუ ხელოსნობას, ძირითადად, სომხები და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები მისდევდნენ, დღეს ამ სფეროში ქართველებიც არიან დასაქმებული. ძველი დროისგან განსხვავებით, პროფკავშირები ეროვნული ნიშნით აღარ იქმნება. ასევე, უკვე შესაძლებელია სპეციალურ სასწავლებლებში ნებისმიერი ხელობის დაუფლება.

წყარო 3. პროფკავშირების ორგანიზებული ერთ-ერთი ქარხნის თანამშრომლების აქცია

ლექსიკონი

მკალავი – ხელოსანი, რომელიც დაზიანებული სპილენძის ჭურჭელს კალავს, აღადგენს.

უსტაბაში – (უსტა – ოსტატი, ბაში – თავი) ამქრის მეთაური, უფროსი ოსტატი.

ხარაზი – ფეხსაცმლის მკერავი ან შემკეთებელი.

დავალება

2. როგორი იყო თბილისურ ამქარში მიღების წესები? შენი აზრით, რატომ აწყობდნენ სხვადასხვა რიტუალს ამქარში მიღებისას.
3. შეადარე ერთმანეთს ძველი თბილისური ამქარი და თანამედროვე პროფკავშირი: რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?
4. ჩაატარე გამოკითხვა ოჯახის წევრებსა და მეზობლებში, გაწევრიანებული არიან თუ არა პროფესიულ კავშირებში. ოდესმე თუ დახმარებია მათ მსგავსი გაერთიანებები და თუ კი, როგორ?
5. შეადარე ერთმანეთს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობისა და პროფკავშირების ფუნქციები.

7.6 ვაჭრობა და სავაჭრო ადგილები თბილისში

როგორ, სად და ვინ ვაჭრობდა თბილისში?

მეიდანი – თბილისის სავაჭრო ცენტრი

საუკუნეების განმავლობაში თბილისი სამხრეთ კავკასიის მთავარი სავაჭრო ცენტრი იყო. ქალაქის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა ბაზარი. 1887 წელს ქალაქში ავლაბრის, სალდათის, თათრის, მეიდნის და ვერის ბაზრები იყო, ასევე, წვრილი ბაზრები, სადაც რაიმე საგანს და რომელიმე პროდუქტს ყიდდნენ. თბილისის მთავარი სავაჭრო ცენტრი კი **მეიდანი** იყო. აქვე, დილაუთენია, თავს იყრიდნენ მშენებლობაზე, მიწაზე, ბაღ-ბოსტნებში სეზონური მომუშავენი. სახელოსნო, დუქანი და ბაზარი ერთმანეთისგან განუყოფელი იყო.

წყარო 1. მეიდანი ძველად

დავალება

1. შენი აზრით, რას უწყობდა ხელს ვაჭრობა?
2. დღეს სად ვაჭრობენ თანამედროვე თბილისელები?
3. აღწერე წყარო 1: ვინ არიან გამოსახული სურათზე, რას აკეთებენ, რა აცვიათ, როგორი გარემოა, ხედი და ა.შ.

ხელოსნობის ერთი და იგივე ან მსგავსი დარგები ცალ-ცალკე „რიგს“ ქმნიდა. ჩამწკრივებულ სავაჭრო და სახელოსნო დუქნებში მყიდველებს თავიანთ ნაწარმს სთავაზობდნენ: ხარაზები – ფეხსაცმელს, სარაჯები – ცხენის აკაზმულობას, მექოშეები ქოშსა და მაშიას, დაბაღები – ტყავს. აქვე იყვნენ ოქრომჭედლები, კალატოზები, დურგლები, მეთოფეები, მეხანჯლეები, ქვის მთლელები და სხვ.

2010 წელს საქართველოში შეიქმნა დოკუმენტი, სადაც საქართველოში არსებული სპეციალობებია ჩამოთვლილი და დაყოფილია სხვადასხვა მიმართულებად და დარგებად. ძველ დროსთან შედარებით, თანამედროვე თბილისსა და საქართველოში ათასამდე პროფესია არსებობს.

XVIII საუკუნის დასაწყისში ქალაქში ორასი დუქანი იყო. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ დუქნების რაოდენობამ ხუთასს მიაღწია. ბაზრები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებიც იყო. იქ შეიძლებოდა ახალი ამბების გაგება. თანამედროვე თავისუფლების მოედანის ადგილას ადრე, ძირითადად, შეშითა და თივით ვაჭრობდნენ. რიყეზე, სადაც ძველად **მოლოკნები** ცხოვრობდნენ, ვაჭრობდნენ ცხენებით, თევზით.

ლექსიკონი

მოლოკნები – რუსული მართლმადიდებელი ეკლესიიდან გამოყოფილი რელიგიული ჯგუფი.

წყარო 2. თბილისელი ხელოსნები

დავალება

4. დაასახელე, რომელი დარგის ხელოსნებია გამოსახული წყაროზე 2.

ქარვასლები ძველ თბილისში

შუა საუკუნეების თბილისში არსებობდა სავაჭრო ცენტრები – **ქარვასლები**. ყველაზე დიდი ქარვასლები ახლანდელ სიონის ქუჩაზე იდგა. XIX საუკუნეში ახალი ქარვასლები აშენდა. 1850 წელს თბილისში ცამეტი ქარვასლა იყო. ქარვასლების ზედა სართულებზე სასტუმრო ოთახები იყო, პირველი სართული კი დუქნებს, სახელოსნოებსა და საწყობებს ეკავა. საწყობად იყენებდნენ სარდაფებსაც. ძველად ქართველები ვაჭრობას არ მისდევდნენ, ამიტომ თბილისში, ძირითადად, სომხები ვაჭრობდნენ. დროთა განმავლობაში ქართველებმაც დაიწყეს ვაჭრობა. ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი მოვაჭრე და მეწარმე, დავით სარაჯიშვილი იყო.

დავალება

8. ერთმანეთს შეადარე ძველი ქარვასლები და დღეს არსებული თანამედროვე სავაჭრო ცენტრები, რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?
9. გაიხსენე ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფებიდან პირველად ვინ დაიწყო ვაჭრობა და რატომ?
10. მოიძიე ინტერნეტში ინფორმაცია დავით სარაჯიშვილის შესახებ. შეაფასე მისი დამსახურება საქართველოს წინაშე.

დავალება

5. ჩამოთვალე, გაკვეთილის ტექსტში დასახელებული პროფესიებიდან დღეს რომელი აღარ არსებობს. როგორ ფიქრობ, რატომ აღარ არის ის სპეციალობები, რომლებიც ძველად თბილისში არსებობდა.
6. ჩამოთვალე, რომელი თანამედროვე სპეციალობები იცი.
7. იმსჯელეთ, როდის და რატომ ჩნდება მოთხოვნილება ახალ სპეციალობებზე?

7.7 ტრანსპორტის საშუალებები თბილისში

რა სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობდნენ თბილისში წარსულში და რით სარგებლობენ დღეს?

ოთხფეხა „ტრანსპორტი“ ძველ თბილისში

თბილისს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, ძირითადად, მის შემოგარენში მცხოვრები სოფლის მოსახლეობა ამარაგებდა. მოგვიანებით, სხვადასხვა დროს, ეს სოფლები თბილისის შემადგენლობაში შევიდა. XIX საუკუნიდან ამ სფეროში გერმანელთა კოლონია ჩაერთო. ბაზარში პროდუქტების გასატანად ქალაქის მიმდებარე სოფლების მკვიდრები, ძირითადად, ურემსა და სახედარს იყენებდნენ. სოფლებიდან მოსულ მემაწვნეს გასაყიდი მაწვნის ქილები სახედარზე ჰქონდა აკიდებული.

ქალაქის ახალ უბნებში ევროპული სახლების მშენებლობას თან ახლდა ამ სოფლებიდან ჩასული მუშახელის მონაწილეობა. ისინი ურმებით სამშენებლო მასალის ძირითადი გადამზიდავები იყვნენ. XX საუკუნის 30-იან წლებამდე სოფელ დიღმიდან ორმოცი ურმისაგან შემდგარი „ქარავანი“ გადიოდა, რომელიც უკან სოფელში შებინდებისას ბრუნდებოდა. ურემი ძველ თბილისში გადაადგილების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა. ურმებით საქონელი შეჰქონდათ შორეული ადგილებიდანაც. მაგალითად, დაღესტნიდან ვლადიკავკაზის გავლით ურმებით თბილისში ნაბდები და მაუდი შეჰქონდათ. ძველი თბილისელები დღეობებზე სალოცავად ურმებით მიემართებოდნენ. ასეთ შემთხვევაში ურმები გადახურული იყო ხალიჩებითა და ქეჩებით, რასაც **ჩარდახიან ურემს** უწოდებდნენ. ურმის ძირზე, ჩვეულებრივ, თივა ჰქონდათ დაფენილი, თივაზე კი – ხალიჩები და საბნები.

წყარო 1. ჩარდახიანი ურემი, XIX საუკუნის 70-იანი წლები

დავალება

1. შეადარე ერთმანეთს ძველად არსებული ურმები თანამედროვე საავტომობილო ტრაილერს. რა უპირატესობები და ნაკლოვანებები აქვს თითოეულ მათგანს?
2. მონახე რუკაზე (გვ.4-5), რა გზა უნდა გაევლო ვლადიკავკაზიდან თბილისამდე ჩატანილ საქონელს. იმსჯელე ასეთ დიდ გზაზე მოგზაურობის რა სირთულეები დ საფრთხეები არსებობდა? არის თუ არა დღეს მსგავსი პრობლემები? პასუხი დაასაბუთე.

თბილისში ტვირთის გადასატანად, პირველ ყოვლისა, საჭაპანო ცხოველებს იყენებდნენ: სახედრებს, ჯორებს, ცხენებს, ხარებს, კამეჩებს. მათგან ყველაზე პოპულარული სახედარი იყო. ის იყო ქალაქში ტვირთის ძირითადი გადამტანი. ზაფხულსა და ზამთარში სახედრებზე აქეთ-იქიდან გადაკიდებული გოდრებით გადაჰქონდათ მწვანილი, ხილი, ყვავილები, ნახშირი, შეშა. სახედარს ხალისით იყენებდნენ **თულუხჩებიც** – წყლის გადამზიდავები. ასევე, გადაჰქონდათ ფიჩხი. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ფიჩხის დიდი კონების (აგრეთვე თივის) გადატანისას ვირს მხოლოდ თავი და გრძელი ყურები უჩანდა. გარდა გოდრებისა, ტვირთის გადასატანად სახედრებს ხშირად ხურჯინები და ტიკებიც ჰქონდათ გადაკიდებული.

ძველი თბილისელებისთვის არც აქლემები იყო უცხო. შორეული ადგილებიდან თბილისში ტვირთი, ძირითადად, აქლემების ქარავნებით შეჰქონდათ. ძველი თბილისისთვის არც ტახტრევანები ყოფილა უცხო, რომლითაც მხოლოდ პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელი ქალბატონები გადაადგილდებოდნენ. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოჩნდა ევროპული **ფაეტონები**, რომელშიც წყვილი ცხენი იყო შებმული. 1887 წლის ოფიციალური მონაცემებით, თბილისში 520 მეფაიტონე და ოთხთვალა ეტლის მფლობელი იყო აღრიცხული.



წყარო 2. აქლემების ქარავანი თბილისში

წყარო 3. სპარსელი თულუხჩები თბილისში, XIX ს. დასასრული

ლექსიკონი

თულუხჩი – მეთულუხე, წყლის დამტარებელი და გამყიდველი.
თულუხი – წყლის საზიდავი (ცხენით და მისთ.) რუმბი ან კასრი.
საჭაპანო – გადამზიდი.
ჭაპანი – საურმე თოკი, ღვედი.

დავალება

3. იმსჯელე, როგორ გესმის სიტყვის „ჭაპანწყვეტა“ მნიშვნელობა.

წყარო 4. ფაეტონი თბილისის ქუჩაში

წყარო 5. თბილისის ქუჩა, XIX საუკუნის ბოლო

ლექსიკონი

კონკა – ტრამვაის წინამორბედი საქალაქო რკინიგზა, რომლის ვაგონშიც ცხენები იყო შებმული.

თბილისელები მტკვრის ერთი სანაპიროდან მეორეზე ხიდებით ან ბორნებით გადადიოდნენ. **ბორანი** პირველად 1848 წელს გააკეთეს. იგი ხისაგან იყო შეკრული. XIX საუკუნის ბოლოს თბილისში ორი – ვერისა და დიდუბის ბორანი არსებობდა. ეს უკანასკნელი დიდუბეს დიღომთან აკავშირებდა და 1953 წლამდე მოძრაობდა. ბორანი იყო მუხრანის ხიდის ადგილას, რომელიც რიყესა და ავლაბარს ერთმანეთთან აკავშირებდა.

მოგვიანებით, 1883 წელს თბილისში გამოჩნდა **კონკა**, რომელიც 1904 წელს **ტრამვაიმ** ჩაანაცვლა.

წყარო 6. ბორანი, XIX ს.

წყარო 7. ძველი ტრამვაი

სატრანსპორტო საშუალებები თანამედროვე თბილისში

თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებები ძველისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც ტექნოლოგიური პროგრესის შედეგია. XX საუკუნიდან მოყოლებული თბილისში თითქმის ყველა სახის სატრანსპორტო საშუალება გავრცელდა. ფუნიკულიორი, ტრამვაი, ტროლეიბუსი, ავტობუსი, საბაგირო და გადაადგილების სხვა საშუალებები. თბილისი კავკასიაში პირველი ქალაქია, სადაც მეტრო გაიყვანეს. მის ტერიტორიაზე მდებარეობს ერთდროულად სამი აეროდრომი. ბოლო დროს თბილისში პოპულარული გახდა ველოსიპედით გადაადგილება. ქალაქის ცენტრალურ უბნებში დაიხაზა და მოეწყო ველობილიკები. თუმცა, თბილისის არათანაბარი რელიეფი ხელს არ უწყობს ამ სატრანსპორტო საშუალების განვითარებას.

წყარო 8. ტრაპიანი ახალი ავტობუსი თბილისში

წყარო 9. თბილისის მეტრო

დავალება

4. აღწერე წყარო 5. რომელ „ტრანსპორტს“ ხედავ? როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა აქვს მას თანამედროვე ტრანსპორტთან შედარებით.
5. შეადარე დღეს გავრცელებული სატრანსპორტო საშუალებები ერთმანეთს. რომელი უფრო სუფთაა ეკოლოგიურად – სატვირთო ავტომობილი, სარკინიგზო ვაგონი, მეტრო თუ თვითმფრინავი. დაასაბუთე პასუხი
6. რომელი სატრანსპორტო საშუალება იცი სხვა ქვეყნებში, რაც საქართველოში ჯერ არ არის განვითარებული?
7. როგორ ფიქრობ, რატომ აქვს ავტობუსს ტრაპი (წყარო 8).
8. რა უპირატესობა აქვს ველოსიპედს სხვა ტრანსპორტთან შედარებით. გაუწიე პოპულარიზაცია ცხოვრების ჯანსაღ წესს და რეკლამა გაუკეთე ველოსიპედს. დახატე პლაკატი, რომელზეც შესაბამის მოწოდებას დაწერ. გამოფინეთ თქვენი პლაკატები კლასში.
9. იმსჯელეთ თქვენი ქალაქის ეკოლოგიაზე. რომელი ეკოლოგიური პრობლემა არის მისთვის ყველაზე მწვავე. მისწერეთ წერილი თვითმმართველობას, რომელშიც შესთავაზებთ გამოსავალს ჰაერის/გარემოს დაბინძურების, უსაფრთხო გადაადგილების საკითხებთან დაკავშირებით.

თანამედროვე თბილისის ეკოლოგია

XXI საუკუნეში ეკოლოგია მთელი მსოფლიოს პრობლემაა. თბილისს ყველაზე მეტად ჰაერის დაბინძურება აწუხებს. ამის მიზეზი ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვია. ხშირია სმოგი – კვამლის, ნისლისა და მტვრის ნარევი. ამის მთავარი მიზეზი კი ავტომობილებითა და სხვა ტრანსპორტით გადატვირთული ქუჩებია. გარემო და ჰაერი ადამიანის ჯანმრთელობაზე აისახება. რაც უფრო მაღალგანვითარებულია ქვეყანა, მით უფრო უკეთ აქვს მოგვარებული გარემოს დაცვის პრობლემები.

7.8 XIX საუკუნის ქალაქური ცხოვრება

როგორი იყო ცხოვრება XIX საუკუნის თბილისში?

ლექსიკონი

კოლორიტი – პიროვნება, რომელიც გამოირჩევა განსხვავებული ქცევით, უჩვეულო გარეგნობით ან ჩაცმის სტილით.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაიზარდა როგორც ქალაქების რაოდენობა, ასევე ქალაქის მოსახლეობის რიცხვიც.

ცვლილებები და სიახლეები მოსახლეობის ყველა ფენის ცხოვრებას დაეტყო. შეიცვალა თბილისისა და ზოგიერთი სხვა ქალაქის არქიტექტურაც.



წყარო 1. XIX საუკუნის ბოლოს თბილისის ხედი (ნარიყალა ტრადიციული სახლების ფონზე)

წყარო 2. ძველი თბილისის ქუჩა, გზა პურის მოედნისკენ, XX საუკუნის დასაწყისი

დავალება

1. გაიხსენე, როგორ საცხოვრებელ სახლებს აგებდნენ წინათ საქართველოში.
2. ახსენი, წყაროების 1, 2 და 3-ის მიხედვით, რა განსხვავებაა ქართულ ტრადიციულ არქიტექტურასა და ევროპულ არქიტექტურას შორის. პასუხის დროს გაითვალისწინე სახლების მშენებლობისას გამოყენებული მასალა, სართულების რაოდენობა და სხვ.
3. დღეს როგორ სახლებს აშენებენ და რატომ?

წყარო 3. XIX საუკუნის ევროპული არქიტექტურის ნიმუში. აშენებულია ი. ზუბალაშვილის დაკვეთით. XX საუკუნემდე სასულიერო სემინარია იყო. დღეს ხელოვნების მუზეუმია.

ყარაჩოღელები და კინტოები

თბილისის ქალაქური ცხოვრების კოლორიტს ქმნიდნენ **ყარაჩოღელები** და **კინტოები**. ყარაჩოღელებს წვრილ ხელოსნებს უწოდებდნენ. ისინი პატიოსნებით, სიდარბაისლით, დარდიმანდობით და ვაჟკაცობით გამოირჩეოდნენ. ამქრის წევრის სიკვდილის შემთხვევაში, ოჯახს ეხმარებოდნენ, ქვრივს ყოველდღე სანოვაგეს უგზავნიდნენ, ღარიბებს ფულს უგროვებდნენ. აქვე არსებობდნენ მათგან საპირისპირო ადამიანები, კინტოები. კინტოების მთავარი საქმიანობა საკვები პროდუქტებით ვაჭრობა იყო. თავზე შემოდებული დიდი ხის თაბახებით/გობებით გასაყიდად დაჰქონდათ ხილი, ბოსტნეული, მწვანილი, კვერცხი, თევზი და სხვ. ზომა-წონაში მოტყუება და მყიდველზე ზემოქმედება კინტოს ძირითადი იარაღი იყო, უპატიოსნოდ ვაჭრობა და ფულის შოვნა კი – მისი მიზანი.

წყარო 4. ყარაჩოღელები

წყარო 5. კინტოები

დავალება

4. რა ჰქვია იმ საქციელს, რითიც ყარაჩოღელები იყვნენ დაკავებული ამქრის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში?
5. რა მნიშვნელობა ჰქონდა ყარაჩოღელების ქველმოქმედებას გარდაცვლილის ოჯახისთვის?
6. გაიხსენე თანამედროვე ქველმოქმედების რომელიმე მაგალითი.
7. მიგიღია თუ არა მონაწილეობა რომელიმე ქველმოქმედებაში? თუ კი, რა მიზანი გქონდა?

თბილისელი ქალების მოდა

ყველაზე სწრაფად მაღალი და საშუალო წრის თბილისელი ქალების ჩაცმის სტილი იცვლებოდა. თავიდან მათ ევროპული ფეხსაცმელი არჩიეს ტრადიციულს. 1880-იანი წლებიდან კი ქალაქელი ქალები უკვე ევროპულ მოდას მისდევდნენ.

თავადაზნაურთა ცხოვრების წესი თბილისში

შეძლებული ფენების წარმომადგენლები თანდათან გადადიოდნენ ევროპული სტილის ცხოვრებაზე. თავიანთ შვილებს პანსიონებსა და გიმნაზიებში აგზავნიდნენ, უცხო ენებს და მუსიკას ასწავლიდნენ. მაღალი წრის ოჯახებში ეწყობოდა ლიტერატურული სალონები, სადაც შემოქმედი ადამიანები თავიანთ ნაწარმოებებს უკითხავდნენ განათლებულ საზოგადოებას, საუბრობდნენ ხელოვნების, ფილოსოფიის თემებზე. 1851 წელს თბილისში ჩასული რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი წერდა: „თბილისი ძლიერ განათლებული ქალაქიაო“. ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა კი თბილისს პატარა პარიზად მოიხსენიებდა.



წყარო 6. მეჯლისზე მოსაწვევი ბილეთები და ალექსანდრე ბაგრატიონ-მუხრანელის სასახლესთან მეჯლისზე მიწვეული თბილისის თავადაზნაურობა (მოსაწვევ ბილეთზე მითითებულია, რომ თბილისში რუსეთის იპერატორის ჩამოსვლასთან დაკავშირებით 1888 წლის 29 სექტემბერს 9 საათზე იმართება მეჯლისი)

დავალება

8. მოიძიე ინფორმაცია, სად იღებდნენ განათლებას საქართველოში ძველად? რა ცვლილება მოხდა ამ თვალსაზრისით XIX საუკუნეში? რატომ აღმოჩნდა თბილისი ამ მხრივ მიმზიდველი საქართველოს სხვადასხვა მხარის ახალგაზრდებისთვის.
9. შენი აზრით, რატომ შეადარა ფრანგმა მწერალმა ალექსანდრ დიუმამ თბილისი პარიზს?
10. აღწერე წყაროები 6 და 7. მათზე გამოსახული ადამიანები საზოგადოების რომელ ფენას ეკუთვნოდნენ? დაასაბუთე შენი პასუხი.

მაღალი საზოგადოება რუსულ თეატრსა და იტალიურ ოპერაში დადიოდა. გიორგი ერისთავის თაოსნობით, 1850 წელს გახსნილი ქართული თეატრის წარმოდგენებს ესწრებოდა. 1850-იან წლებში ყაბახის მოედანზე, რომელიც ბაღად გადააკეთეს (ე.წ. ალექსანდრეს ბაღი), საღამოობით საზოგადოება სასეირნოდ გადიოდა და, ქართულთან ერთად, რუსული და ევროპული მუსიკით და ცეკვებით ტკბებოდა. ქალაქის მოსახლეობის უფრო დაბალი ფენები აღმოსავლურ-ყარაჩოღულ ჰანგებს არჩევდნენ.



წყარო 7. თბილისის ოპერის თეატრის გახსნა (1851 წ.)

დავალება

11. ახსენი, როგორ გესმის ცხოვრების ევროპული წესი?
12. შენი აზრით, ვინ იგულისხმება მოსახლეობის დაბალ ფენებში?

საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა წარმოშობისა და რელიგიის ადამიანები ერთ ქალაქში თანაცხოვრებამ დააახლოვა. შეიქმნა განსაკუთრებული ქალაქური კულტურა: არქიტექტურა, პოეზია, მუსიკა, რომელიც თბილისში მცხოვრები ყველა ადამიანისთვის თანაბრად ძვირფასი იყო. ე.წ. **თბილისურ ეზოებში** სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს საერთო დღესასწაულები თუ გლოვის დღეები ჰქონდათ. იქმნებოდა შერეული ოჯახები, სადაც მშობლები სხვადასხვა ეროვნების თუ სარწმუნოების იყვნენ.

წყარო 8. თბილისური ეზო

დავალება

13. როგორ ფიქრობ, წყარო 8-ის მიხედვით, რამდენად უწყობს ხელს ასეთი არქიტექტურა ადამიანების დაახლოებას. დაასაბუთე შენი პასუხი.
14. დაასახელე სხვადასხვა ეროვნების ადამიანების თანაცხოვრების დადებითი მხარეები.
15. მოიძიე ინფორმაცია თბილისური ეზოების შესახებ. დაწერე ვიკიპედიისთვის მოკლე ინფორმაცია „თბილისურ ეზოებზე“ და მოამზადე ის ვებგვერდზე დასადებად.
16. გაითამაშეთ სცენა თბილისური ეზოს ცხოვრებიდან.
17. გამოკითხე უფროსი თაობის წარმომადგენლები ოჯახში, მეზობლად ან გამოიკვლიე, რა ქმნიდა განსაკუთრებულ თბილისურ კულტურას.

7.9 წყალი თბილისელთა ცხოვრებაში ძველად და დღეს

როგორი იყო თბილისური აბანოები და როგორ მარაგდებოდა ქალაქი წყლით?

აღა-მაჰმად ხანი თბილისში

სპარსელმა დამპყრობელმა აღა მაჰმად ხანმა 1795 წელს თბილისი აიღო და მიწასთან გაასწორა. მან თბილისის აბანოების სამკურნალო თვისებები იცოდა და ფიქრობდა, რომ იქ განიკურნებოდა. მაგრამ განრისხდა, როდესაც მის დაავადებას თბილისის გოგირდის წყალმა ვერ უშველა.

თბილისის წყლით მომარაგება

წყალი ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი რესურსია. დღეს სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყალი ყველა ოჯახში ონკანში მოდის, წარსულში კი ასე არ იყო. თბილისში სასმელი წყლის სისტემა 1887 წელს გაიყვანეს. მანამდე კი ქალაქს სასმელი წყლით მეთულუხჩეები ამარაგებდნენ. ქალაქის ხელისუფლებას მტკვარზე თორმეტი ადგილი ჰქონდა გამოყოფილი, საიდანაც წყლის აღება შეიძლებოდა. სავსე თულუხჩებს ისინი ცხენებსა და სახედრებს აჰკიდებდნენ ხოლმე, რის შემდეგაც წყალი გასაყიდად მიჰქონდათ. ზოგიერთ დამტარებელს წყალი კოკებითა და კასრებითაც დაჰქონდა. 1880-იან წლებამდე წყლის ფასი, ძირითადად, მტკვრიდან არსებული მანძილით განისაზღვრებოდა. დღეს მდინარის წყლის დალევა წარმოუდგენელია, მაგრამ, წარსულში საქართველოში მდინარის წყალს ბევრ ადგილას სვამდნენ. ამიტომ მაშინ მდინარეებს უფრთხილდებოდნენ, არ აბინძურებდნენ და წყალიც დასალევად ვარგისი იყო.

წყარო 1. მეთულუხჩეები

დავალება

1. როგორ ფიქრობ, რატომ იყო ძველად თბილისში გამოყოფილი მტკვარზე სპეციალური ადგილები მეთულუხჩეებისთვის წყლის ასავსებად.
2. მოამზადეთ და შესთავაზეთ რეკომენდაციები თბილისის თვითმმართველობას მტკვრის გაწმენდის საშუალებებზე.

დღეს თბილისი სასმელი წყლით მდინარე არაგვიდან და თბილისის ზღვიდან მარაგდება. სანამ არაგვიდან წყალი თბილისელთა სახლებში, ონკანებში წამოვა, მანამდე ხანგრძლივ და შრომატევად პროცესს გადის. მდინარე არაგვიდან წყალი თბილისის სხვადასხვა უბანში, სპეციალურ წყალსაქაჩ ნაგებობებში იტუმბება. იქ მას სხვადასხვა საშუალებით ასუფთავებენ, ფილტრავენ და მის სისუფთავეს ამოწმებენ. როდესაც წყალი საკმარისად გასუფთავდება, მას ქალაქის წყალსადენ მილებში უშვებენ და ასე აღწევს ის თბილისის ყველა სახლში. მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში საკმარისი სუფთა წყალი არ აქვთ, ამიტომ სასმელ წყალს ყიდულობენ, ხოლო ონკანის წყალს დასაბანად და სხვა საოჯახო საქმეებისთვის იყენებენ.

თბილისური აბანოები

თბილისის თავისებურებას გოგირდოვანი ცხელი წყლის აბანოები წარმოადგენდა. აბანოები თბილისელთა თავშეყრის ადგილი იყო. ისინი ჩირაღდნებით განათებული და დღედაღამ ღია იყო. იქ არც ბანაობის დრო იყო განსაზღვრული და ხალხსაც დარჩენა გათენებამდე შეეძლო. აბანო ხშირად თბილისში ჩასული გლეხისთვის ღამის გასათევს, სასტუმროსაც წარმოადგენდა. აბანო ერთ დღეს ქალების იყო, მეორე დღეს – მამაკაცების. იქ წასულ ქალებს თან სარეცხიც მიჰქონდათ. აბანოში ჩვეულებრივი ამბავი იყო ჩაის სმა და ერთმანეთის მოსანახულებლად შეხვედრა. თბილისის სტუმრებისთვის აბანოების მონახულება და მისი გოგირდიანი წყლით ბანაობა ერთგვარი თავგადასავალიც იყო და ჯანმრთელობის გაკაჟებისა და ჰიგიენის დაცვის საშუალებაც. აბანოში **მექისის** პროფესიით ყველა სტუმარი აღფრთოვანებული იყო. მექისეები ადამიანს აბანავებდნენ და მასაჟს უკეთებდნენ.

თბილისური აბანოები დღესაც პოპულარულია არა მარტო თბილისელებს, არამედ მის სტუმრებს შორისაც.

წყარო 2. თბილისის აბანო. XIX ს.

წყარო 3. თბილისის აბანოში

დავალება

3. საკუთარ ქალაქზე ზრუნვა ყველა იქ მცხოვრების მოვალეობაა. თანაკლასელებთან ერთად მიწერე წერილი შენი ქალაქის/რაიონის წყალმომარაგების დაწესებულებას და ზუსტად გაიგე, საიდან და როგორ მოდის სასმელი წყალი შენს სახლამდე.
4. როგორ ფიქრობ, რა უნდა გააკეთო იმისთვის, რომ შენს ონკანში სასმელი წყალი ყოველთვის მოდიოდეს.
5. თანაკლასელებთან ერთად იმუშავე პროექტზე: „წყალი – სიცოცხლის წყარო“.
6. შეავსე რვეულში ცხრილი: რომელი საქმიანობისთვის შეიძლება ან არ შეიძლება ონკანის წყლის გამოყენება, რომ იგი რაციონალურად დაიხარჯოს?

წყლის ხარჯვის მაგალითები	
რაციონალური	არარაციონალური

7. მოიძიე ინფორმაცია „თბილისის კურორტზე“. იმსჯელეთ გოგირდოვანი წყლების სამკურნალო და ტურისტულ მნიშვნელობაზე დღევანდელი თბილისისთვის.

ლექსიკონი

რაციონალური – გონიერი, დასაბუთებული, მომჭირნე.

7.10 დასვენება და გართობა თბილისში

როგორ ერთობოდნენ ძველად თბილისში?

დუქნები

ლექსიკონი

აშული – სახალხო მგოსანი და მომღერალი.

დასვენება და გართობა ადამიანისთვის ბუნებრივი მდგომარეობაა. ასეთ დროს იგი დაკარგულ ენერგიას აღიდგენს და განწყობას იუმჯობესებს. წარსულში თბილისელთა ერთ-ერთი გასართობი და თავშეყრის ადგილი იყო **დუქანი**. მაგალითად, ცნობილ აპრაკუნეს დუქანში იკრიბებოდა თბილისის ლიტერატურული საზოგადოება. აქ ტარდებოდა იმპროვიზირებული პოეტური პაექრობები, მღეროდნენ ცნობილი **აშულები**. დუქნების ხშირი სტუმრები იყვნენ **ნიკო ფიროსმანი** და **იეთიმ-გურჯი**. პირველი მათგანი თუ დუქნის კედლებსა და აბრებს/ფირნიშებს ხატავდა, მეორე თავის ლექსებს სამ – სომხურ, აზერბაიჯანულ და ქართულ ენაზე ქმნიდა. ასეთი პოეტი იყო **საიათნოვაც**.

წყარო 1. თბილისური დუქანი

წყარო 2. ნიკო ფიროსმანის მოხატული აბრა

წყარო 3. იეთიმ გურჯის ძეგლი თბილისში

საიათნოვა

თბილისში ბევრი განათლებული სომეხი მოღვაწეობდა, რომლებმაც დიდი კვალი დაამჩნიეს ქართულ-სომხურ ურთიერთობას. ასეთ მოღვაწეთა შორის ყველაზე გამორჩეული იყო პოეტი, მომღერალი და აშული საიათნოვა (არუთინ საიათიანი). ის თბილისში დაიბადა და იქვეა დაკრძალული სურფგევორქის ეკლესიაში. დაიღუპა 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს. საიათნოვა ჩონგურზეც უკრავდა; იყო ერეკლე მეფის კარის მომღერალი. თავის სიმღერებსა და ლექსებს სამ – ქართულ, სომხურ და სპარსულ – ენებზე ქმნიდა. საიათნოვას ლექსები გამოცემულია ქართულ ენაზე.

ბაღები, სკვერები

თანამედროვე ეპოქაში დღესასწაულებს ხშირად ფოიერვერკით ვხვდებით – ფერად-ფერად შუშხუნებს ვუშვებთ. ასეთ სანახაობაზე არც ძველი თბილისელები ამბობდნენ უარს. თბილისში სადღესასწაულო ილუმინაციისთვის ფისიან კასრებს იყენებდნენ, რომლებსაც მთაწმინდაზე, მამადავითის ეკლესიასთან ახლოს დგამდნენ.

ვისაც აქტიური დასვენება არ უყვარს, ქალაქის ბაღები და სკვერები იზიდავს. ძველ თბილისში ბევრი ასეთი ადგილი იყო. ყველაზე დიდი და მთავარი, სამეფო ბაღი, დღევანდელი ბოტანიკური ბაღის ადგილას მდებარეობდა. ცნობილი იყო 1830-იან წლებში გაშენებული **მუშტაიდის ბაღი**. მტკვარში ბანაობაც თბილისელთა საზაფხულო თავშესაქცევს წარმოადგენდა. დღეს მდინარის დაბინძურების გამო მასში ბანაობა შეუძლებელია.

წყარო 4. კაფე მუშტაიდის ბაღში. XIX ს. მეორე ნახევარი

ძველი თბილისელების ურთიერთობა დაკავშირებულია ე.წ. **სალაყბოსთან**. სალაყბო მოედანზე ყოველდღიურად ასობით ადამიანი ხვდებოდა ერთმანეთს. ისინი თავს იქცევდნენ საუბრით, ცვლიდნენ ახალ ამბებს; იქვე ელოდნენ ცნობებს სამეფო სასახლიდან. პირველი შეხვედრისთანავე, სალაყბოზე მისულების შეკითხვა იყო: „რა ამბავია?“

ფიროსმანი

ნიკო ფიროსმანი ძირითადად თბილისის დუქნების, მაღაზიებისა და რესტორნების აბრებს ხატავდა. დუქნებში დახატულ ნახატებში საფასურს არავის სთხოვდა. იგი ხშირად ამბობდა: მოვა დრო, როდესაც ჩემს ნახატებში მილიონებს გადაიხდიან! 1913 წელს მოსკოვში გამართულ დიდ გამოფენაზე მისი ოთხი ნახატი წაიღეს ძმებმა – ილია და კირილე ზდანევიჩებმა. მათ ფიროსმანის უამრავი ნახატი შეიძინეს და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცეს.

დავალება

1. რა ფუნქცია ჰქონდა დუქანს ძველ თბილისში? რას შეადარებდი ძველ თბილისურ დუქანს თანამედროვე თბილისში?
2. შენი აზრით, რატომ დაუდგეს ძეგლი აშუღ იეთიმ გურჯს (წყარო 3). როგორ ფიქრობ, რას ნიშნავს ის, რომ იეთიმ გურჯი და საიათნოვა ლექსებს სამ ენაზე წერდნენ.
3. დასასვენებელ ბაღებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქისთვის. მოიძიე შენს ქალაქში/რაიონში არსებული ბაღის ან სკვერის შესახებ ინფორმაცია, როდის და როგორ დაარსდა იგი. აღწერე წყარო 4 და მოიძიე ინფორმაცია მუშტაიდის ბაღზე.
4. რას შეადარებდი ძველად არსებულ „სალაყბოს“ თანამედროვე ქალაქებსა და სოფლებში?
5. ნახეთ ფილმი ფიროსმანზე მხატვარ ავთო ვარაზის მონაწილეობით და იმსჯელეთ, რატომ შეარჩია იგი რეჟისორმა ამ როლისთვის.

თბილისის ქუჩებში დადიოდნენ მესტვირეები, მეარღნეები, მოხეტიალე მუსიკოსები, მელექსე-იმპროვიზატორები, რომლებიც ძირითადად ქართლის სოფლებიდან იყვნენ და შესაბამის გასამრჯელოს იღებდნენ, მესტვირეები ყველა თბილისური ქორწილის მონაწილენი იყვნენ. პოპულარული იყო ოჩოფეხებზე სიარული, რასაც ჯამბაზები ასრულებდნენ. ზოგიერთი ოჩოფეხებზე ცეკვავდა კიდეც.

წყარო 5. აშუღები

ყველიერის დროს თბილისელთა საყვარელი გასართობი საქანელა იყო. მას თითქმის ყველა სახლის ეზოში კიდებდნენ. საქანელა მხოლოდ გოგონებისთვის იყო განკუთვნილი.

ლექსიკონი

კარნავალი – სახალისო დღესასწაული ცეკვა-თამაშითა და ნიღბებით (იმართება ღია ცის ქვეშ).

ყველიერი – ქრისტიანული დიდი მარხვის წინა კვირა, როდესაც დაშვებულია ნებისმიერი საკვები ხორცეულის გარდა.

ყეენობის ტრადიცია თბილისში

თბილისელებისთვის საყვარელი გასართობი იყო **ყეენობის დღესასწაული**. ამ დღესასწაულში ჩართული იყო ქალაქის თითქმის მთელი მოსახლეობა. ის ევროპულ კარნავალს ბევრი რამით ჰგავდა. ყეენობაში ხალხი მონაწილეობდა და მასში გარკვეული პერსონაჟები იყვნენ დაკავებული. ეს დღესასწაული ერთგვარი სახალხო სპექტაკლი იყო. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, ყეენობისას ქართველები თავიანთ მტრებს, მოძალადეებსა და დამმარცხებლებს აქილიკებდნენ და თანამემამულეებს იმის იმედს უნერგავდნენ, რომ ყველა მტერზე საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდოდნენ.

წყარო 6. ამონარიდი ყეენობის შესახებ XIX საუკუნის გაზეთიდან „კვალი“

„მთელი ქალაქი გაყოფილი იყო ორ უბნად. ...ნახევარი მცხოვრებნი ყეენის მხარეს იყვნენ... მისი მოხელენი იჭერდნენ გამვლელ-გამომვლელებს და თაყვანის საცემად ყეენთან მიჰყავდათ. ...ნაშუადღევს ყეენს მოახსენებდნენ, რომ ქვეყანა აჯანყდა, რომ ერი განუდგა და ქართველები სოლოლაკის მაღლობს მოადგნენ. მაშინვე ყეენი საომრად მიდიოდა, მაგრამ საბოლოოდ ქართულ ჯარს ტყვედ ბარდებოდა“.

წყარო 7. ყეენობა

წყარო 8. პოეტი იოსებ გრიშაშვილი ყეენობის ტრადიციის შესახებ

„ყველიერის ორშაბათს, თბილისის თითოეულ უბანს თავისი ყეენი გამოჰყავდა. ამ დღეს ყეენად ირჩევდნენ „გონებამახვილ, ოხუნჯ კაცს, რომელსაც რთავდნენ კარიკატურულად: თავზე ეხურა ქაღალდისგან გაკეთებული წოწოლა ქუდი, ერთ ხელში ხმლის მაგივრად ქაფქირი ეჭირა, მეორეში – ჟანგიანი შამფური, რომელზედაც ვაშლი ან ხახვი იყო წამოგებული. ყეენის ამალა გამვლელებს გზას უღობავდა და ხარკს ახდევინებდა... ზოგჯერ ყეენს ზურგშექცევითაც სვამდნენ სახედარზე ან ფეხმორთხმულს – გოდორზე... ვინც ხარკს არ იხდიდა, მას საღრჩობელით ემუქრებოდნენ. ნაშუადღევს ყეენს მტკვარში აგდებდნენ, ხოლო თბილისელებისაგან მოგროვილი ფულით რამდენიმე დღის განმავლობაში ქეიფობდნენ“.

XIX საუკუნის ბოლოს კარნავალისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება თანდათან შეიცვალა და 1894 წლიდან საერთოდ აიკრძალა.

დავალება

6. აღწერე, წყაროების 6-8 მიხედვით, ყეენობის დღესასწაული.
7. შენი აზრით, რა სცენებს თამაშობდნენ მონაწილენი, რისი გადმოცემა სურდათ.
8. აღწერე წყარო 7. ამოიცანი, წყაროების 6-8 დახმარებით, ყეენობის მონაწილეები. როგორ აცვიათ მონაწილეებს და მაყურებლებს? როგორი შენობებია გარშემო და ა.შ.
9. როგორ ფიქრობ, რატომ აკრძალა რუსეთის იმპერიამ, რომლის შემადგენლობაშიც მაშინ საქართველო იყო, ყეენობის ტრადიცია.

რა ვიცი და რა შემიძლია

1. დაგეგმე, თანაკლასელებთან ერთად, ერთდღიანი ექსკურსია თბილისში. მოაწყე კლასში გამოკითხვა ექსკურსიის მარშუტის დასადგენად და ამის მიხედვით შეარჩიე ყველაზე სასურველი ადგილები. გაითვალისწინე, რომ უნდა მოინახულოთ ადგილები, რომლებიც თბილისის, როგორც ქვეყნის კულტურულ და პოლიტიკურ ცენტრზე მეტყველებს. ჩართეთ ორგანიზების პროცესში სკოლის ადმინისტრაცია. დაწერეთ განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე და სთხოვეთ ექსკურსიის დაფინანსება. გაითვალისწინე, ექსკურსია უნდა იყოს შემეცნებითი და გასართობი ღონისძიება.

სსიპ სოფელ სართიჭალის საჯარო
სკოლის დირექტორს ....
VI კლასის მოსწავლეების

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩვენი კლასის მოსწავლეებს გვსურს ექსკურსიის მოწყობა თბილისის ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად. ექსკურსიის მიზანია გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის განმტკიცება.

გთხოვთ დაგვეხმაროთ საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში.

VI კლასის მოსწავლეები
2018 წლის 10 მაისი

წყარო 1. განცხადების ნიმუში

წყარო 2. მიმართულების მანიშნებელი დაფა

გაიხსენეთ, რა ისწავლეთ თბილისის შესახებ, შეაჯერეთ თქვენი ინტერესები და აირჩიეთ თბილისის რომელი ღირსშესანიშნაობების ნახვა გსურთ.

შემეცნებითი მიზნით, ასევე მიღებული ცოდნის გასაღრმავებლად:

- საქართველოს პარლამენტის და მთავრობის ადმინისტრაციის შენობები
- თავისუფლების მოედანი და მისი მიმდებარე ქუჩები
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
- სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმი
- გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ (ან მასწავლებლის დახმარებით შეგიძლიათ თბილისის მუზეუმების ნუსხის გაცნობა და სასურველი მუზეუმის არჩევა)
- თბილისის ბოტანიკური ბაღი
- ძველი თბილისის უბნები

გართობის მიზნით:

- მთაწმინდის პარკი
- ცირკი
- მოზარდ მაყურებელთა თეატრი
- რომელიმე სპორტული ღონისძიება
- ფოლკლორული კონცერტი.

გაიხსენეთ ქუჩაში მოძრაობის წესები; დაიცავით ქცევის წესები მუზეუმში, ექსკურსიაზე, ტრანსპორტში.

წყარო 3. ტურისტები თბილისში

2. მოამზადე პროექტი „რატომ არის თავისუფლების მოედანი და მისი მიმდებარე ქუჩები არა მარტო თბილისის, არამედ საქართველოს კულტურული და პოლიტიკური ცენტრი?“

პროექტზე მუშაობისას, უპასუხეთ კითხვებს:

ა) როგორ იცვლებოდა მოედნისა და ქუჩების სახელწოდება დროთა განმავლობაში და რასთან იყო ეს დაკავშირებული?

ბ) რომელი სახელისუფლებო დაწესებულებებია მოედანსა და მის მიმდებარე ქუჩებზე?

გ) რომელი კულტურული დაწესებულებებია იქ?

დასკვნაში ხაზი გაუსვი, რატომ შეიძლება ჩაითვალოს თავისუფლების მოედანი და მისი მიმდებარე ქუჩები თბილისის და, ზოგადად, საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად.



წყარო 4. თავისუფლების მოედნისა და მიმდებარე ქუჩების გეგმა

კარი 8.

სახელმწიფო – ჩვენი საქართველო

ამ კარში გაიგებ, როდის შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო, ქართული დამწერლობა; რატომ იცვლებოდა მისი საზღვრები; გამოიყენებ და შეაჯამებ ორი წლის განმავლობაში შეძენილ ცოდნას მის მრავალფეროვან ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებზე, დედაქალაქზე და გაიგებ, რატომ არის ჩვენი სამშობლოსთვის დამახასიათებელი ეს ბუნებრივი და კულტურული მრავალფეროვნება; როგორ ზრუნავს ჩვენი სახელმწიფო ყოველი ჩვენთაგანის უფლებებზე და რა ვალდებულებები გვაქვს მის წინაშე.

8.1 საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა

სად მდებარეობს საქართველო?



წყარო 1. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა მსოფლიოს რუკაზე

წყარო 2. საქართველოს ტერიტორია კოსმოსიდან

✓ დავალება

1. შეისწავლე საქართველოს ფიზიკური რუკა (გვ. 4-5). რა სჭარბობს საქართველოში – მთა თუ ბარი.
2. აღწერე საქართველოს მდებარეობა.

ჩვენი სამშობლოს გეოგრაფიული მდებარეობა რამდენიმე კუთხით შეიძლება განვიხილოთ:

1. საქართველო მდებარეობს კავკასიონის ქედის სამხრეთით.
2. საქართველო მდებარეობს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე.
3. საქართველო მდებარეობს ევროპაში, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.
4. საქართველო მდებარეობს ევრაზიის კონტინენტზე.

მიიჩნევა, რომ საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. იგი ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზეა. აქ ზომიერი ჰავაა. დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მდებარეობას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. შავი ზღვის მეშვეობით, მას ოკეანეებსა და მრავალ ქვეყანასთან დაკავშირება შეუძლია. შავი ზღვის წყალი თბილია და ზამთარში არ იყინება. იგი ზაფხულობით აგრილებს, ხოლო ზამთრობით ათბობს საქართველოს სანაპიროს. კავკასიონის მაღალი მთები საქართველოს ჩრდილოეთიდან მონაბერი ცივი ქარებისგან იცავს, ისტორიულად კი მტრისთვის ბუნებრივ ზღუდეს წარმომადგენდა.

გეოგრაფიული მდებარეობა პირდაპირ დაკავშირებულია ქვეყნის ბუნებრივ პირობებთან და მის ბუნებრივ მრავალფეროვნებას განაპირობებს, რასაც სხვადასხვა მხარის შესწავლისას გაეცანი.

✓ დავალება

3. შენი აზრით, რატომ მიიჩნევენ, რომ ჩვენს სამშობლოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს.
4. დაასახელე, საქართველოს ფიზიკური რუკის დახმარებით (გვ. 4-5), საქართველოს ბუნებრივი საზღვრების სახელწოდებები: ჩრდილოეთით – მთათა სისტემის, დასავლეთით – ზღვის, სამხრეთით – მთათა სისტემის.
5. გაიხსენე, რა გზები გადიოდა საქართველოზე წინათ და რა გზები და მილსადენები გადის დღეს. დედამიწის რომელ ნაწილებს აერთიანებს ეს გზები.

8.2 საქართველოს ტერიტორია და საზღვრები

რა ტერიტორია და როგორი საზღვრები აქვს საქართველოს?

დავალება

1. რამდენი სახის საზღვარია ცნობილი?
2. გამოიანგარიშე, რამდენჯერ აღემატება საქართველოს სახმელეთო საზღვარი საზღვაო საზღვარს.
3. რუკის მეშვეობით (გვ. 4-5) დაადგინე, რომელ სახელმწიფოსთან აქვს საქართველოს სახმელეთო საზღვარი და რომელი მათგანია ყველაზე გრძელი?

საქართველოს ტერიტორია 69 700 კვადრატული კილომეტრია (კმ^2). მსოფლიოში არსებული 200-მდე ქვეყნიდან ის დიდი ქვეყნების რიცხვს არ მიეკუთვნება. ფართობის მიხედვით, ევროპაში, თითქმის შუა ანუ 25-ე ადგილი უკავია.

საქართველოს საზღვრები ორგვარია: **სახმელეთო** და **საზღვაო**. საზღვრების საერთო სიგრძე 1970 კმ-ია. 1660 კმ სახმელეთო საზღვარზე, ხოლო დანარჩენი (310 კმ) შავი ზღვის სანაპიროზე გადის.

საქართველოს სახმელეთო საზღვარი მიუყვება როგორც მთებს, ასევე ვაკეებს. ქვეყნის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი საზღვარი კავკასიონის მაღალ მთებზე გადის. სამხრეთი საზღვარი შედარებით დაბალ ქედებს გასდევს. საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი **ქვემო ქართლის ვაკეს**, **ივრის ზეგანს** და **ალაზნის ველს** კვეთს.

საქართველოს სახმელეთო საზღვარი ოთხ სახელმწიფოსთან აქვს. მას ჩრდილოეთიდან რუსეთი, აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანი, სამხრეთიდან სომხეთი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთიდან თურქეთი ესაზღვრება.

„სარფი“

„ლარსი“

„წითელი ხიდი“

„სადახლო“

წყარო 1. საქართველოს სასაზღვრო-გამშვები პუნქტები

ჩვენი ქვეყნის ტერიტორია და საზღვრები ისტორიის მანძილზე ხშირად იცვლებოდა. ყველაზე მეტად საქართველოს საზღვრები ქვეყანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შეიცვალა.

ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზღვრის ეფექტიან მართვაზე. საზღვარზე არსებული საბაჟო-გამშვები პუნქტები უზრუნველყოფს საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობას და ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას. როგორც ყველა სახელმწიფოს, ისტორიულად საქართველოსაც ჰქონდა შემოსასვლელი პუნქტები.

დღევანდელ საქართველოსაც თითოეულ მოსაზღვრე სახელმწიფოსთან სასაზღვრო-გამშვები პუნქტები აქვს. სომხეთთან – „სადახლო", აზერბაიჯანთან – „წითელი ხიდი", თურქეთთან – „სარფი", „ვალე" და „კარწახი". რუსეთთან ოთხი პუნქტიდან ერთი ზემო ლარსის (ყაზბეგის) პუნქტი მოქმედებს. დანარჩენი სამი „განთიადი" (აფხაზეთის ტერიტორიაზე), „როკი" და „მამისონი" (შიდა ქართლში) რუსეთის სახელმწიფოს მიერ ოკუპირებულია.

წყარო 2. საქართველოს სასაზღვრო-გამშვები პუნქტი აფხაზეთში „განთიადი"

ალექსანდრე დიუმა (1802-1870) – ცნობილი ფრანგი მწერალი. ავტორი ისეთი ნაწარმოებებისა, როგორიცაა: „სამი მუშკეტერი", „ოცი წლის შემდეგ", „გრაფი მონტე-კრისტო" და სხვ. იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, შთაბეჭდილებები კი აღწერა წიგნში „კავკასია". ალექსანდრე დიუმამ დაახასიათა ჩვენი სამშობლოს ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა და ადათ-წესები.

დავალება

4. შეადგინე საქართველოს სახმელეთო და საზღვაო საზღვრების განაწილების წრიული დიაგრამა.
5. შენი აზრით, რისთვის არსებობს საზღვარი, ვინ იცავს მას?
6. მოძებნე, საქართველოს ფიზიკური რუკაზე ის მდინარეები, რომლებიც საქართველოს საზღვარს კვეთს.
7. გაიხსენე, რომელი სასაზღვრო-გამშვები პუნქტია საქართველოს ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში.

8.3 საქართველოს მეზობლები

რომელ ქვეყნებთან აქვს საქართველოს საერთო სახმელეთო საზღვარი?

წყარო 1. რუკა – საქართველო და მისი მეზობლები

დავალება

1. სად გადის საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარი?
2. რომელი მდინარეები კვეთს საქართველო-აზერბაიჯანისა და საქართველო სომხეთის საზღვარს?

საქართველოს სახმელეთო მეზობლებია რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი.

საქართველო-რუსეთის საზღვარი, ძირითადად, კავკასიონის ქედზე გადის. რუსეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოა. იგი მსოფლიოში ტერიტორიის სიდიდით პირველ ადგილზეა. მისი დედაქალაქია მოსკოვი. რუსეთთან საქართველოს რთული ურთიერთობა აქვს. მიუხედავად ამისა, ხალხებს შორის ყოველთვის არსებობდა მჭიდრო კულტურული და ეკონომიკური კავშირი. ბევრი ქართველი დღესაც რუსეთში ცხოვრობს.

საქართველოს აღმოსავლეთით მოსაზღვრე მეზობელი **აზერბაიჯანი** ფართობით მას ერთნახევარჯერ აღემატება. იგი მდიდარია ნავთობით და ბუნებრივი გაზით. აზერბაიჯანის დედაქალაქია ბაქო. საქართველოს აზერბაიჯანთან ყოველთვის მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ჩვენს ქვეყნებს საერთო ენერგეტიკული პროექტები აკავშირებს. ბევრი აზერბაიჯაინელი საქართველოში ცხოვრობს.

წყარო 2. მოსკოვის წმინდა გიორგის ტაძარი – ქართული დიასპორის სასულიერო ცენტრი, სადაც ღვთისმსახურება საქართველოსა და რუსეთის პატრიარქებს შორის შეთანხმების საფუძველზე მიმდინარეობს ქართულ და რუსულ ენებზე. მდებარეობს ბოლშაია-გრუზინსკაიას ქუჩაზე.

წყარო 3. ნავთობის მოპოვება ბაქოში

საქართველოს სამხრეთით მოსაზღვრე მეზობელი **სომხეთი** ფართობით 2-ჯერ პატარაა საქართველოზე. სომხეთი მდიდარია ფერადი ლითონებით და სამშენებლო მასალებით. სომხეთის დედაქალაქია ერევანი. სომეხ და ქართველ ხალხებს საუკუნოვანი ურთიერთობა აკავშირებს. ბევრი სომეხი საქართველოში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

საქართველო-თურქეთის საზღვარს მდინარე მტკვარი და ჭოროხი კვეთს. თურქეთი ფართობით 11-ჯერ დიდია საქართველოზე. იგი მდიდარია ფერადი ლითონებით და ქვანახშირით. თურქეთის დედაქალაქია ანკარა. დღეს თურქეთი საქართველოს ერთ-ერთი დიდი სავაჭრო პარტნიორია. ჩვენს ქვეყნებს კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვს. თურქეთში მილიონობით ქართველი ცხოვრობს და მოღვაწეობს.

ლექსიკონი

დიასპორა – ხალხის, (ეთნიკური ჯგუფის) მნიშვნელოვანი ნაწილის ყოფნა თავისი ქვეყნის ფარგლის გარეთ.

წყარო 4. სერგო ფარაჯანოვის მუზეუმი ერევანში

წყარო 5. კაპადოკია, წმინდა ნინოს სამშობლო

ქართველები მოსკოვში

მტრულ გარემოცვაში მცხოვრებ ზოგიერთ ქართველ მეფეს მხსნელად რუსეთი მიაჩნდა. ერთ-ერთი ასეთი ქართლის მეფე ვახტანგ VI იყო. ის მრავალრიცხოვანი ამალით (1214 კაცი) 1724 წელს რუსეთში გაემგზავრა. ამალის დიდი ნაწილი, მეფის ჩათვლით, სამშობლოში ვეღარ დაბრუნდა. გადასახლებულთა შთამომავლებმა მოსკოვში დაარსებული ქართული ახალშენი გააფართოვეს, ეკლესიაც ააგეს. იგი ქართული კულტურის მძლავრ კერად გადაიქცა. იქ ამოქმედდა ქართული სტამბა, დაიწერა და გამოქვეყნდა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ისტორიული და გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომები. მოსკოვის ქართული ახალშენის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. ქართველთა მოსკოვში ცხოვრების კვალი ისტორიულმა ძეგლებმა და ადგილთა სახელწოდებებმა (ქუჩები ბოლშაია გრუზინსკაია, მალაია გრუზინსკაია) შემოგვინახა. დღეს მოსკოვსა და მთელ რუსეთში ბევრი ქართველი ცხოვრობს და სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობს.

დავალება

3. გაიხსენე: რა არის რუსეთთან რთული ურთიერთობის მიზეზი? საქართველოს რომელ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, სომხები? რომელ თურქულ პროდუქტს იცნობ, რომელსაც ხშირად მოიხმარ? როგორ ფიქრობ, შეუძლია თუ არა საქართველოს იგივე პროდუქტების წარმოება. პასუხი დაასაბუთე.
4. დაადგინე, რუკის (გვ.4-5) დახმარებით, რა გზა უნდა გაევლოთ ვახტანგ VI-ს და მისი ამალის წევრებს, რომ რუსეთში მოხვედრილიყვნენ. გადაადგილების რა საშუალებები იყო მაშინ?
5. რა მიღწევები ჰქონდა ქართულ დიასპორას მოსკოვში? მოიძიე ინფორმაცია ცნობილ ქართველებზე, რომლებიც დღეს მოსკოვში მოღვაწეობენ და გააცანი მეგობრებს.

8.4 საქართველოს ბუნებრივი გარემო და ლანდშაფტი

რა გავლენა იქონია გეოგრაფიულმა გარემომ საქართველოს ისტორიაზე?

ლექსიკონი

ლანდშაფტი – ხედი, პეიზაჟი, ტერიტორიის იერსახე.

საქართველო უმეტესად მთაგორიანი ქვეყანაა, მაგრამ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ბარში – დაბლობებსა და ვაკეებზე ცხოვრობს. ქალაქები ვაკე ადგილებშია გაშენებული. გორაკ-ბორცვები და ვაკე ადგილები ერთმანეთს ენაცვლება. საქართველოში მოგზაურობისას, სულ მცირე ხანში, შავი ზღვის სანაპიროდან შეიძლება მაღალმთიანეთში და მარადიული თოვლით დაფარულ მთებსა და მუდმივი ყინულების სამყაროში აღმოჩნდე. აქედან შეიძლება ასევე მოკლე ხანში ნახევარუდაბნოს გარემოში მოხვედრა.

წყარო 1. საქართველოს ხედები

დავალება

1. საქართველოს რომელი ხედია შენთვის ცნობილი წყარო 1-ზე?
2. აღწერე შენი მხარის ბუნებრივი გარემო.
3. როგორ ფიქრობ, რატომ ურჩევნიათ ადამიანებს ბარში ცხოვრება.
4. შენი აზრით, რა პირობები უნდა შეიქმნას მთაში, რომ ადამიანებს იქ ცხოვრება გაუმარტივდეს.
5. გაიხსენე, საქართველოს რომელი მხარე არის მთაგორიანი. რომელ მათგანს აქვს მიგრაციის პრობლემა და რატომ? რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ ამ პრობლემის გადასაჭრელად?

საქართველოში ხელუხლებელი ანუ **ბუნებრივი ლანდშაფტები** სხვადასხვა ადგილზე გვხდება. ამგვარია მაღალი მთები, მიუდგომელი ხეობები, კარსტული მღვიმეები, ჭაობები და დაცული ტერიტორიები. ბუნებრივ ლანდშაფტებს საქართველოს ტერიტორიის 1/5 უკავია, რაც ევროპის ქვეყნებთან შედარებით ძალიან მაღალი მაჩვენებელია. დანარჩენი ტერიტორია ადამიანის მიერ არის სახეცვლილი. ამგვარ ტერიტორიებს **ანთროპოგენური** („ანთროპოს“ ბერძნულად ადამიანს ნიშნავს) ანუ **ადამიანის მიერ შექმნილი ლანდშაფტი** ეწოდება. ამგვარია ქალაქებით და სოფლებით, ბაღებით და ვენახებით, ყანებით და ბოსტნებით, წყალსაცავებით და გზებით დაკავებული ტერიტორიები.

რელიეფმა დიდი გავლენა იქონია საქართველოს ისტორიაზე. დასავლეთიდან შავი ზღვა არა მარტო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის კლიმატზე, არამედ წინათ მტრის შემოსევისგანაც იცავდა. ჩრდილოეთიდან ის კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედითაც იყო დაცული. დასავლეთ საქართველოში ხშირი ტყეა გავრცელებული. ტყით დაბურული ლიხის ქედის გამო თითქმის შეუძლებელი იყო აღმოსავლეთ საქართველოდან მტრის დასავლეთით გადასვლა.

ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო საქართველოს მოსახლეობას მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. მათი ნაკლებობის ან ზედმეტი პროდუქტის შემთხვევაში, სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მკვიდრნი პროდუქტს ერთმანეთში ცვლიდნენ.

საქართველოში ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, როგორც უკვე შეისწავლე, განსხვავებული წეს-ჩვეულებები და ტრადიციები ჩამოყალიბდა. საბოლოოდ, ისინი ერთმანეთს შეერწყა და **საერთო ქართული კულტურა** შეიქმნა. ამ მიზეზებმა საქართველოს მსგავს პატარა ქვეყანაში ბევრი განსხვავებული ხალხური ცეკვა, სიმღერა, ჩაცმულობის სტილი და საცხოვრებელი სახლის არსებობა გამოიწვია.

საქართველოს მსგავსად, სხვა ქვეყნებიც იყოფა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებად. მისი ზოგიერთი ეთნოგრაფიული მხარე სხვა ქვეყნისას უფრო ჰგავს, ვიდრე დანარჩენი საქართველოს ნაწილებს. ეს ფაქტი გვაჩვენებს, რომ ერთ ქვეყანაში გაერთიანება მხოლოდ გარეგნული მსგავსების გამო არ ხდება.

საქართველოს დაცული ტერიტორიები

საქართველოში დაცული ტერიტორიები რამდენიმე სახისაა. მათგან სიდიდით ნაკრძალები და ეროვნული პარკები გამოირჩევა. ჩვენს ქვეყანაში 14 ნაკრძალი და 8 ეროვნული პარკია. იქ იცავენ როგორც ფლორისა და ფაუნის, ასევე, არაცოცხალი ბუნების გამორჩეულ ობიექტებს (მაგალითად, მღვიმეებს, ტბებს, ჭაობებს, დინოზავრის ნაკვალევს და სხვ.).



წყარო 2. საქართველოს დაცული ტერიტორიები

დავალება

6. დისკუსია კლასში:
   ა) რა გავლენა ჰქონდა გეოგრაფიულ გარემოს საქართველოს ისტორიაზე?
   ბ) რატომ ითვლება, რომ ქართული კულტურა მდიდარია?
7. გაიხსენე, რომელი მხარეები ცვლიდნენ ერთმანეთში პროდუქტს?
8. გაიხსენეთ საქართველოს მხარეების ბუნებრივი ლანდშაფტები და ფოტოგამოფენაზე წარმოადგინეთ საქართველოს ბუნების მრავალფეროვნება.
9. ნახეთ ინტერნეტში დოკუმენტური ფილმი საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ (www.apa.gov.ge) და განიხილეთ ის შემდეგ გაკვეთილზე.

8.5 საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები

როგორია საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები?

ლექსიკონი

ოკუპაცია – რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის დროებით დაკავება.

ყველა დამოუკიდებელ სახელმწიფოს საკუთარი სიმბოლოები – დროშა, გერბი, ჰიმნი – აქვს. საქართველო გამონაკლისი არ არის. მოქალაქეები მათ დიდ პატივს სცემენ: ჰიმნის გაგონებისას ფეხზე დგებიან, ყველაზე მნიშვნელოვან საერთო ეროვნულ დღესასწაულებზე დროშებს ფენენ, ყველა სახელმწიფო უწყების ოფიციალურ დოკუმენტებზე გერბს გამოსახავენ.

ქართველები თურქეთში და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი

როდესაც რუსეთმა 2008 წელს შიდა ქართლის **ოკუპაცია** მოახდინა, თურქეთის მოქალაქე ქართველებმა ანკარაში რუსეთის საელჩოსთან საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყვეს. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, მას როგორც მუსლიმს, ძალიან უჭირდა საქართველოს სახელმწიფოს ხუთჯვრიანი დროშის ხელში დაჭერა. მაგრამ ყოყმანის შემდეგ თავის თავს აჯობა და საქართველოს დროშა სიამაყით აღმართა.

დავალება

1. შენი აზრით, რაზე მეტყველებს თურქეთში მცხოვრები წარმოშობით ქართველის ეს საქციელი.



წყარო 1. საქართველოს დროშა და გერბი

წყარო 2. საქართველოს ჰიმნი

„თავისუფლება“. ჰიმნის ტექსტის ავტორია დავით მაღრაძე, მაგრამ მის საწყის სიტყვებად გამოყენებულია აკაკი წერეთლის სიტყვები „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“. მუსიკის ავტორია ზაქარია ფალიაშვილი, ჰიმნად გადაამუშავა იოსებ კეჭაყმაძემ.

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
ამოდის და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება!

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო სიმბოლოები მარტო XX საუკუნეში სამჯერ შეიცვალა. ცვლილებები დაკავშირებული იყო ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებთან.

1918 წლის 26 მაისს საქართველო რუსეთის ბატონობისგან განთავისუფლდა. დამოუკიდებელ ქვეყანას ეროვნული სიმბოლოები ესაჭიროებოდა. გერბი და დროშა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის კონსულტაციით შეიქმნა.

წყარო 3. ხუთჯვრიანი გამოსახულება სოფელ უდეს ქალთა მონასტრის კედელზე. ასეთი გამოსახულებები შუა საუკუნეების სამცხე-ჯავახეთის სხვა ძეგლებზეც გვხვდება.

1921 წელს რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინა და დამოუკიდებლობა კვლავ წაართვა. ჩვენი ქვეყანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში აღმოჩნდა, რომელშიც რუსეთმა თხუთმეტი რესპუბლიკა გააერთიანა. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, 1991 წელს, საქართველომ ისევ აღიდგინა დამოუკიდებლობა და დააბრუნა პირველი რესპუბლიკის სიმბოლოები.

სიმბოლური იყო დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ **26 მაისის** გამოცხადებაც. სწორედ ეს დღეა საქართველოს ყველა მოქალაქისთვის ყველაზე დიდი საერთო ეროვნული დღესასწაული.

2004 წლიდან ახალმა ხელისუფლებამ ახალი სიმბოლოები შემოიღო, რომლებითაც ჩვენ დღემდე ვამაყობთ.

დავალება

5. იმსჯელეთ, რატომ სჭირდება დამოუკიდებელ სახელმწიფოს სიმბოლოები.
6. შენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს ისეთ საერთო ეროვნულ დღესასწაულს, როგორიც დამოუკიდებლობის დღე – 26 მაისია? კიდევ რომელ საერთო ეროვნულ დღესასწაულს იცნობ, რომელსაც საქართველოს ყველა მოქალაქე აღნიშნავს? რატომ შეიძლება იგი საერთო ეროვნულად ჩაითვალოს?
7. იმსჯელეთ, რატომ ამაყობენ ადამიანები თავიანთი ქვეყნის სიმბოლოებით და როგორ გამოხატავენ ამას.

დავალება

2. როგორ ფიქრობ, რატომ შეარჩიეს საქართველოს დროშისთვის ხუთჯვრიანი გამოსახულება (წყაროები 1 და 3)?
3. შენი აზრით, რატომ არის გამოსახული საქართველოს გერბზე წმინდა გიორგი (წყარო 1)?
4. იმსჯელეთ საქართველოს ჰიმნის შინაარსზე, მის სიტყვებზე. რას ნიშნავს შენთვის ჰიმნის ყოველი სტროფი?

წყარო 4. საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროშა და გერბი

8.6 ქართული დამწერლობის წარმოშობა

როდის და როგორ შეიქმნა ქართული ანბანი?

ლექსიკონი

სტელა – ქვის სვეტი.

მსოფლიოში არსებულ თოთხმეტ ძირითად დამწერლობას შორის ერთ-ერთი ქართული ანბანია. მისი წარმოშობის შესახებ არაერთი მოსაზრება არსებობს. დიდი ხნის განმავლობაში უძველესად ბოლნისის სიონის ტაძრის წარწერას თვლიდნენ, რომელსაც 493-494 წლებით ათარიღებენ. დღეს ასეთად მიჩნეულია XX საუკუნეში პალესტინაში აღმოჩენილი ქართული მონასტრის ნანგრევები სამი ქართული წარწერით. ორი მათგანი თარიღდება V საუკუნის პირველი ნახევრით.

ყოველი ახალი აღმოჩენა ახალი ვერსიის საფუძველი ხდება. არაერთი მეცნიერი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ქართული ანბანი ძვ.წ. III საუკუნეში ერთიანი საქართველოს პირველმა მეფემ, **ფარნავაზმა** შექმნა. ეს ვერსია ეყრდნობა ისტორიულ თხზულებაში დაცულ ცნობას. ზოგიერთი გასული საუკუნის ბოლოს აღმოჩენილ დავათის სტელას ამის დასტურად თვლის, ზოგიც არქეოლოგიურ აღმოჩენებს ნეკრესში.

წყარო 1. დავათის სტელა

წყარო 2. პალესტინა. ქართული მონასტრის წარწერა, 430 წ.

ქართული ანბანი **არამეულის** ბაზაზეა შექმნილი, თუმცა მოგვიანებით, არაერთგზის, ბერძნული დამწერლობის გავლენა განიცადა. ეს მოსაზრება შემდგომმა აღმოჩენებმა და გამოკვლევებმა გაამყარა. ასოთა უმრავლესობის მოხაზულობა თვითმყოფადია და რომელიმე სხვა დამწერლობის ასოებს არ ეფუძნება.

წყარო 3. ბოლნისის სიონის წარწერა

ქართულ დამწელობას სამი ისტორიული სისტემა აქვს: **ასომთავრული**, **ნუსხური** და **მხედრული**. ნუსხური დამწერლობა ასომთავრულის განვითარების შედეგია, ხოლო მხედრული – ნუსხურის. ცვლილება სწრაფად, მარტივად წერის აუცილებლობამ განაპირობა.

1	2	3	4	1	2	3	4
Ⴀ	ⵓ	ა	1	ⴚ	ⴓ	ხ	200
Ⴁ	ⵔ	ბ	2	ⴛ	ⴔ	ⴕ	300
Ⴂ	ⵕ	გ	3	ⴜ	ⴖ	ⴗ	
Ⴃ	ⵖ	დ	4	ⴘ	ⴙ	ⴘ	400
Ⴄ	ⵗ	ე	5	ⴞ	ⴟ	ⴠ	500
Ⴅ	ⵘ	ვ	6	ⴡ	ⴢ	ⴣ	600
Ⴆ	ⵙ	ზ	7	ⴤ	ⴥ	⴦	700
Ⴇ	ⵚ	ⴖ	8	ⴧ	⴨	⴩	800
Ⴈ	ⵛ	თ	9	⴪	⴫	⴬	900
Ⴉ	ⵜ	ი	10	ⴭ	⴮	⴯	1000
Ⴊ	ⵝ	კ	20	ⴰ	ⴱ	ⴲ	2000
Ⴋ	ⵞ	ლ	30	ⴳ	ⴴ	ⴵ	3000
Ⴌ	ⵟ	მ	40	ⴶ	ⴷ	ⴸ	4000
Ⴍ	ⵠ	ნ	50	ⴹ	ⴺ	ⴻ	5000
Ⴎ	ⵡ	ჟ	60	ⴼ	ⴽ	ⴾ	6000
Ⴏ	ⵢ	ო	70	ⴿ	ⵀ	ⵁ	7000
Ⴐ	ⵣ	პ	80	ⵂ	ⵃ	ⵄ	8000
Ⴑ	ⵤ	ჟ	90	ⵅ	ⵆ	ⵇ	9000
Ⴒ	ⵥ	რ	100	ⵈ	ⵉ	ⵊ	10000

წყარო 4. ქართული ანბანი:
1 – ასომთავრული,
2 – ნუსხური,
3 – მხედრული,
4 – რიცხვითი მნიშვნელობა

დავალება

1. იპოვე საქართველოს რუკაზე ბოლნისი (გვ. 4-5). რომელ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში მდებარეობს იგი?
2. შენი აზრით, რაზე მეტყველებს ქართული დამწერლობის ნიმუშების სხვადასხვა ადგილას აღმოჩენა.
3. გაიხსენე, რა როლს თამაშობს არქეოლოგია საქართველოს წარსულის შესწავლაში, და, გაკვეთილის მასალიდან გამომდინარე, დაასაბუთე შენი პასუხი.
4. დააკვირდი წყარო 4-ს. დაასახელე, რა ჰქვია დამწერლობის სისტემას, რომლითაც სარგებლობ.
5. მოიძიე ინფორმაცია ძველი ქართული ანბანის შესახებ.

8.7 ქართლის სამეფოს შექმნა

რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართლის სამეფოს ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში?

დაახლოებით 24 საუკუნის წინ საქართველოს ტერიტორიაზე **ქართლის სამეფოს** ჩამოყალიბება დაიწყო.

ამ დროს ქართლში ყველა ქალაქს თავისი მმართველი – **მამასახლისი** ჰყავდა. მამასახლისები ომის დროს ჯარს მეთაურობდნენ. მცხეთის უკანასკნელი მამასახლისის – **სამარას** დროს ქალაქი **აზომ** დაიპყრო. მან არმაზის და კიდევ რამდენიმე ციხეში თავისი ლაშქარი ჩააყენა, ხოლო დანარჩენი სიმაგრეები დაანგრია. აზომ მთელი ქართლი და ეგრისი დაიმორჩილა, ჩრდილოეთ კავკასიელებს კი ხარკი დაადო; მცხეთაში თავისი ნათესავები გადმოასახლა და **კერპების** – **გაცისა** და **გაიმის** მსახურება დაადგინა.

✓ დავალება

1. დაახასიათე, როგორი მმართველი იყო აზო.

წყარო 1. მცხეთა მდ. მტკვრისა და არაგვის შესართავთან მდებარეობს

სამარას ძმისშვილი **ფარნავაზი** დედამ წაიყვანა და კავკასიონის მთებს შეაფარა თავი. დავაჟკაცებული ფარნავაზი მცხეთაში დაბრუნდა. ფარნავაზი გონიერი ჭაბუკი, ჩინებული მხედარი და მონადირე იყო. მცხეთაში ფარნავაზი აზოს დაუახლოვდა. შეშინებული ფარნავაზის დედა კი შვილს სპარსეთში გადასახლებას სთხოვდა, რადგან თავად წარმოშობით სპარსი იყო. ფარნავაზი დათანხმდა, თუმცა, სამშობლოს დატოვება უძნელდებოდა.

წყარო 2. „ფარნავაზის სიზმარი“, გია ბუღაძის ნახატი

ფარნავაზის სიზმარი

ფარნავაზმა ნახა სიზმარი, ვითომ მას უკაცრიელი სახლიდან გარეთ გასვლა უნდოდა და ვერ გადიოდა. უეცრად სარკმელში მზის შუქი შემოვიდა, შემოერტყა წელზე და გაიყვანა. როცა ფარნავაზი ველზე გავიდა, ნახა, რომ მზე ძირს ჩამოსულიყო. მან მზეს ცვარი მოსწმინდა და თავად იცხო სახეზე. გაღვიძებისას, ფარნავაზმა გადაწყვიტა, რომ ეს სიზმარი სპარსეთში მისი წარმატების ნიშანი იქნებოდა.

დავალება

2. დაახასიათე ფარნავაზი. შენი აზრით, რატომ იფიქრა ფარნავაზმა, რომ ის სხვა ქვეყანაში წარმატებას მოიპოვებდა.
3. ივარაუდე, როგორ შესრულდა ფარნავაზის წინასწარმეტყველება.

წყარო 3. ეს ოქროს ნივთები დაახლოებით 2 500 წლის წინანდელია. ისინი ერთად ჩაფლული აღმოაჩინეს მდ. ქსნის ხეობაში, სოფელ საძეგურთან.

ფარნავაზმა გადაწყვიტა ერთხელ კიდევ ენადირა მცხეთის სიახლოვეს და სანადიროდ დიღმის ველზე წავიდა. იქ იგი ირმებს წააწყდა და ერთ-ერთი დაჭრა. ფარნავაზი ირემს დაედევნა, მაგრამ ამასობაში შემოაღამდა. ღამის გათენება კლდის პირას გადაწყვიტა. ღამით კი დიდი წვიმა მოვიდა. წვიმისგან თავის შესაფარებლად ფარნავაზმა კლდეში გამოქვაბულის ამოქოლილი შესასვლელი გამოანგრია. გამოქვაბულში მან აურაცხელი ოქრო-ვერცხლი იპოვა. გახარებულმა ისევ ამოქოლა გამოქვაბულის შესასვლელი, მერე კი, დედისა და დების დახმარებით, განძი საიმედო ადგილას შეინახა.

დავალება

4. როგორ ფიქრობ, რისთვის გამოიყენებდა ფარნავაზი ამ სიმდიდრეს.
5. შენი აზრით, რატომ დამარხა ეს განძი მისმა მფლობელმა. რაზე მეტყველებს ეს ნაკეთობები (წყარო 3)?

ფარნავაზმა თავისი შიკრიკი დასავლეთ საქართველოს მმართველთან – **ქუჯისთან** გაგზავნა და აზოს წინააღმდეგ ერთად ბრძოლა შესთავაზა. ქუჯი დათანხმდა და შეუთვალა: „მაშინ გაიხარონ ყოველთა ქართველთა მისგან გაწყვეტილთა და შევიწროებულთა“.

ფარნავაზმა ჩრდილოეთ კავკასიელთა ჯარი დაიქირავა, თავისი ლაშქარიც შეკრიბა და აზოს წინააღმდეგ ბრძოლა წამოიწყო. მის მხარეს გადავიდა აზოს ათასი მეომარი, რომელიც მისი მმართველობით უკმაყოფილო იყო. ფარნავაზმა მცხეთის ოთხი ციხე დაიპყრო და მალე, კლარჯეთის გარდა (რაც აზოს მამული იყო), მთელი ქართლიც დაიკავა. ბრძოლა მასსა და აზოს შორის ორ წელიწადს გაგრძელდა. აზო ამ ბრძოლისას დაიღუპა. ფარნავაზმა თავი ქართლისა და ეგრისის მეფედ გამოაცხადა.

ლექსიკონი

კერპი – რაიმეს გამოსახულება ან სიმბოლო, რასაც აღმერთებენ.

დავალება

6. ქუჯის სიტყვებით, რა მდგომარეობაში იყვნენ ქართველები აზოს მმართველობის დროს?
7. დაასახელე ფარნავაზის მოკავშირეები აზოს წინააღმდეგ ბრძოლისას. შენი აზრით, რატომ იყვნენ ისინი მოკავშირეები.
8. განმარტე შენი სიტყვებით, როგორ გესმის ძლიერი ხელისუფალი. როგორ ფიქრობ, იყო თუ არა აზო ძლიერი ხელისუფალი. დაასაბუთე შენი მოსაზრება.
9. ახსენი, რატომ შეიძლება ვთქვათ, რომ ფარნავაზი აერთიანებს ქართველებით დასახლებულ ტერიტორიებს.
10. რატომ გააპარეს ფარნავაზი ჩრდილოეთ კავკასიაში. როგორ ახსნი, რომ აზოსთან დაპირისპირებისას მან იქ ჯარი იქირავა.

8.8 ფარნავაზის რეფორმები

რატომ არის მნიშვნელოვანი სახელმწიფოსთვის რეფორმები?

წყარო 1. რუკა – საქართველო მეფე ფარნავაზის დროს

დავალება

1. ჩამოწერე რვეულში, რუკის (წყარო 1) მიხედვით:
   ა) ფარნავაზის მიერ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში დაწესებული საერისთავოების ცენტრები.
   ბ) რამდენი საერისთავო დააწესა ფარნავაზმა? რომელი საერისთავოებისა და მათი ცენტრების სახელები ემთხვეოდა ერთმანეთს?

სახელმწიფო განვითარებისთვის, ქვეყნის უკეთ მოწყობისთვის და მართვისთვის, ან სხვა მიზნით რეფორმებს ანუ ცვლილებებს ატარებს. ასე იყო წინათ, ასეა ახლაც.

ფარნავაზმა სამეფოს ტერიტორია რვა საერისთავოდ დაჰყო. შიდა ქართლი ფარნავაზმა მისცა **სპასპეტს**, რომელსაც **ერისთავები** ემორჩილებოდნენ, ერისთავებს კი მათდამი დაქვემდებარებული სხვა მოხელეები. ისინი სამეუფო და საერისთავო გადასახადს კრეფდნენ. ფარნავაზმა მცხეთას გალავანი შემოავლო და ქართლში ახალი ქალაქები და ციხეები ააშენა. მან მცხეთაში მთაზე აღმართა მთავარი კერპი – **არმაზი**, დააწესა ამ კერპის დღესასწაული და ამის შემდეგ ამ მთას არმაზის მთა ეწოდა.

დავალება

2. განსაზღვრე, რა პრინციპით დაჰყო ფარნავაზმა სამეფოს ტერიტორია საერისთავოებად.
3. მოიძიე, დღეს რა პრინციპით იქმნება სხვადასხვა ტერიტორიული ერთეული

წყარო 2. ციხეგოჯი.
ეგრისის მმართველი ქუჯი გახდა. მან ააშენა ციხეგოჯი, რაც ქუჯის ციხეს ნიშნავს. ამ ციხეს ბერძნები ძველ ქალაქს ანუ არქეოპოლისს უწოდებდნენ. ციხეგოჯი დიდი ხნის განმავლობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ეგრისის ისტორიაში.

გაზაფხულსა და შემოდგომას მეფე მცხეთაში, სამეფო ქალაქში ატარებდა, ზამთარს – გაჩიანში, ხოლო ზაფხულს – წუნდაში. დროდადრო ის ეგრისსა და კლარჯეთშიც ჩადიოდა და იქაურ საქმეებს აგვარებდა.

ფარნავაზმა ქართლის სამეფოში ქართული ენა და დამწერლობა დაამკვიდრა.

ფარნავაზი ოცდაშვიდი წლისა გამეფდა და ქართლის პირველი მეფე იყო. თუ ფარნავაზის დროს მეფე ნიშნავდა ერისთავებს, დღეს თვითმმართველობას ქვეყნის მოქალაქეები ირჩევენ. ორივეს დანიშნულებაა ადგილზე არსებული საკითხების მოგვარება.

დავალება

4. გაიხსენე მცხეთის მდებარეობა და დაასახელე, რუკის დახმარებით (გვ. 4-5), რომელი მდინარეები უერთდება იქ ერთმანეთს.
5. შენი აზრით, რატომ არის საჭირო სამეფოს ადმინისტრაციული დაყოფა.
6. ჩამოთვალე, რა სიახლეები შემოიღო ფარნავაზმა სამეფოს სამართავად. შენი აზრით, რომელი იყო მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი. პასუხი დაასაბუთე.
7. იმსჯელე, რატომ დაუჭირა მხარი ფარნავაზს ეგრისის მმართველმა. შეაფასე მისი სახელმწიფოებრივი ხედვა. შენ როგორ მოიქცეოდი ქუჯის ადგილას?
8. რატომ არის საჭირო, რომ ქვეყნის მმართველი კარგად იცნობდეს მდგომარეობას ადგილზე? დღეს სახელმწიფოს უმაღლესი პირები რატომ სტუმრობენ ხოლმე ქვეყნის სხვადასხვა მხარეს?

ARMAZIS KERPI

არმაზის კერპი

არმაზის კერპი იყო სპილენძის კაცი, რომელსაც ოქროს ჯაჭვის პერანგი ეცვა, თავზე ოქროსავე ჩაბალახი ეხურა, თვალები კი ძვირფასი თვლების ჰქონდა. მას ხელში ეჭირა ბრწყინვალე ხმალი. მისგან მარჯვნივ იდგა მამაკაცის ოქროს კერპი – გაც, მარცხნივ კი – ვერცხლისა, გაიმ.



8.9 გზა ერთიანი სახელმწიფოს შექმნისკენ

რა ნაბიჯები გადადგა დავით აღმაშენებელმა გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს შექმნის მიზნით?


პირობითი აღნიშვნები
სახელმწიფო საზღვარი
დანარჩენი საზღვრები
დედაქალაქი
სამეფო რეზიდენცია
დასახლებული პუნქტი
ციხესიმაგრე
ეკლესია-მონასტერი
სწავლა-განათლების ცენტრი
ბრძოლის ადგილი
ეგრისი
ლიხის ქედი
ტაო
ჯავახეთი
ერეთი
ალბანეთი
ბიზანტია
ბასიანი
ბაღდადი
ბიჭვინთა
ანაკოფია
ცხუმი
ფასისი
ბათუმი
ზუბანი
ტრაპიზონი
ფოთი
(ფაზისი)
ქუთაისი
ოკაბანი
ბედია
ბოლქვი
ბაგრატი
ბაგრატიონ
ბაგ
ბ
ბ
ბ

წყარო 2. მომთაბარე თურქ-სელჩუკები თავიანთი აუარებელი წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლით ბაღ-ვენახებს, ყანებსა და სათიბებს ანადგურებდნენ.

სამეფოს გასაძლიერებლად და წესრიგის დასამყარებლად მეფემ საერო თუ სასულიერი მაღალ თანამდებობებზე ერთგული მომხრეები დანიშნა და ეკლესიას სათავეში საერო პირი **გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი** ჩაუყენა. ეს 1104 წელს რუის-ურბნისში საეკლესიო კრებაზე გადაწყდა. მეფემ იგი თავის მოადგილედ ანუ პირველ **ვაზირად** დანიშნა. ვაზირს სახელმწიფო და საეკლესიო საქმეებში ჩარევის უფლება ჰქონდა.

დავითმა შეცვალა უმაღლესი სასამართლოს მუშაობის წესიც. მანამდე უმაღლეს მსაჯულად მეფე ითვლებოდა. მან შექმნა მუდმივმოქმედი უმაღლესი სასამართლო ე.წ. **სააჯო კარი**, რომლის საქმიანობას გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ხელმძღვანელობდა. ორშაბათობით ის პირადად „განიკითხავდა“ ქვრივ-ობლებსა და უსამართლოდ დაჩაგრულებს. კვირის დანარჩენ დღეებში საქმეებს სხვა მოსამართლეები განიხილავდნენ.

თავისი სამეფოს უკეთ სამართავად და მის დასაცავად დავითმა **მსტოვართა სამსახური** შექმნა. მსტოვრებს საქართველოში და მის საზღვრებთან თურქ-სელჩუკების გადაადგილებაზე თვალყურის დევნება, ასევე, მეფის ქვეშევრდომთა შორის ყოველგვარი შეთქმულებისა ან ღალატის „აღმოჩენაც“ ევალებოდათ. ეს ამბები მსტოვრებს დავითისთვის სასწრაფოდ უნდა მოეხსენებინათ, რათა მეფეს დროულად ემოქმედა.

დავალება

1. გადმოეცი შენი სიტყვებით, როგორი იყო მემატიანის მიერ დახასიათებული ქართული ჯარი.
2. გაიხსენე, რომელია ტრადიციული სამეურნეო დარგები საქართველოში.
3. შენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ დარგების აღდგენას ქართული სამეფოს არსებობისთვის.
4. გაიხსენე, როგორ იცავდა თავს მტრის შემოსევების დროს საქართველოს ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მოსახლეობა.

დავალება

5. შეადარე დავითის დროინდელი რეფორმები და თანამდებობები ფარნავაზის დროინდელს.
6. ივარაუდე, რისთვის სჭირდება სახელმწიფოს უმაღლესი სასამართლო.
7. როგორ ფიქრობ, რა ფუნქცია აკისრია სახელმწიფოში მზვერავს.
8. დაასახელე, დღეს ვინ იცავს მოქალაქეთა უსაფრთხოებას.

ლექსიკონი

ყივჩაღები – ჩრდილოეთის სტეპებში მოსახლე ტომი.

ახალი ჯარი და ბრძოლა თბილისისთვის

აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის განთავისუფლების შემდეგ დავითმა 40 ათასიანი ყივჩაღთა მუდმივი ჯარი შექმნა, რომლის მიზანი თბილისის გარშემო მდებარე დაკავებული ციხესიმაგრეების შენარჩუნება იყო.

წყარო 3. ყივჩაღი მეომარი. დავითს ყივჩაღებთან ნათესაური კავშირიც ჰქონდა. მისი მეორე ცოლი ყივჩაღთა მეფის ასული იყო.

წყარო 4. მეფე დავით აღმაშენებლის ფრესკა გელათიდან

მუდმივი ჯარის შექმნის შემდეგ დავითი თავდაცვითი ბრძოლიდან თავდასხმაზე გადავიდა. დადგა ბრძოლის დრო თბილისისთვის, რომელიც 400 წელი სხვადასხვა მტრის ხელში იყო.

5

დავით აღმაშენებელი – მწიგნობარი მეფე

ერთხელ, თბილისის მახლობლად დავითი დიდი განძით დატვირთულ ქარავანს ჩაუსაფრდა. მან თხუთმეტი მონა-მეომარი გაგზავნა, რომლებსაც თურქ-სელჩუკები ქართველთა სამალავისკენ უნდა გაეტყუებინა. მტერს ხევში ჩასაფრებული სამასი მხედარი ელოდა, რომლებსაც ნაბრძანები ჰქონდათ, საბრძოლო ნიშნის მიცემამდე თავი არ გაემჟღავნებინათ, ნიშანი კი – დავითს უნდა მიეცა. თავად დავითი, ხმლით შეიარაღებული, სამალავში დაჯდა და ბრძოლის მოლოდინში წიგნის კითხვა დაიწყო. თურქ-სელჩუკებთან ბრძოლა გაჩაღდა. დავითის მეომრებმა დათქმულ ადგილზე მიიტყუეს მოწინააღმდეგეები. მხედრები მეფის ნიშანს ელოდნენ, მაგრამ თურმე მეფე წიგნის კითხვით გაერთო და ნიშნის მიცემა დაავიწყდა. დავითი მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა საბრძოლო ყიჟინა ძალიან ახლოდან მოესმა. ის სწრაფად ჩაება ბრძოლაში და ნიშანი მისცა ჩასაფრებულ მხედრებს. ბრძოლის შემდეგ დავითმა ხმლის ქარქაშში ჩაგება ვეღარ შეძლო, რადგან იგი ორთაბრძოლის დროს დაგრეხილიყო.

დავალება

9. დაასახელე, მეფე დავითის რომელ თვისებებზე მეტყველებს ტექსტში მოთხრობილი ამბავი.

გადამწყვეტი ბრძოლა დიდგორის ველზე 1121 წლის 12 აგვისტოს მოხდა. მასში ქართველების გვერდით ევროპელი მეომრებიც იბრძოდნენ. დიდგორზე გამარჯვებისა და თბილისის განთავისუფლების შემდეგ დავითმა საქართველოს ძლიერი ერთიანი სახელმწიფო შექმნა, გააფართოვა მისი საზღვები, თბილისი ერთიანი საქართველოს დედაქალაქად აქცია და ეფექტიანი მმართველობის სისტემა ჩამოაყალიბა.

წყარო 6. დიდგორობა – სახალხო დღესასწაული, რომელიც ტარდება 12 აგვისტოს, დიდგორის ველზე აღმართულ მემორიალთან. დღესასწაულის დროს იმართება სახალხო სეირნობა, ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი, დოღი, ტურნირი ჭიდაობასა და მკლავჭიდში

წყარო 7. დიდგორობა – თეატრალიზებული წარმოდგენა (2002 წ.)

დავალება

11. როგორ ფიქრობ, საქართველოსნაირი პატარა ქვეყნისთვის, რა მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო კონტაქტებს.
12. დღეს ვინ ეხმარება საქართველოს თანამედროვე ძლიერი ჯარის შექმნაში?

წყარო 5. დავით აღმაშენებელი დიდგორის ომის წინ

დავალება

10. შენი აზრით, რაზე მეტყველებს ევროპელი მეომრების მონაწილეობა დიდგორის ბრძოლაში. კიდევ რომელი ფაქტი მოწმობს იმას, რომ დავითს ურთიერთობა ჰქონდა გარე სამყაროსთან?

8.10 დავით აღმაშენებელი

როგორი უნდა იყოს თანამედროვე მმართველი, რომ დავითის მსგავსად ქვეყანას მომავალი შეუქმნას?

წყარო 1. დავით აღმაშენებლის სპილენძის მონეტა

გაერთიანებულ ქართულ სამეფოში დავითი დიდ ყურადღებას უთმობდა სხვადასხვა ქვეყანასთან ურთიერთობასა და ვაჭრობის განვითარებას. მეფის ბრძანებით, გაჰყავდათ საქარავნო გზები და თვალყურს ადევნდებდნენ მათ კეთილმოწყობას. მაშინ ასეთ გზებზე ქარავნისთვის შედარებით ვიწრო ზოლად ქვაფენილს აგებდნენ. მექარავნეებისთვის კი, ღამის გასათევად, გზებზე გარკვეული მანძილის მიხედვით, იდგმებოდა საგანგებო სასტუმრო სახლები – **ფუნდუკები**. იქ ვაჭრებსა და მათ თანმხლებ პირებს შესვენება და ღამის გათევა შეეძლოთ. წყალდიდობას რომ არ შეეფერხებინა გზებზე ქარავნების მოძრაობა, ხშირად მდინარეებსა და ღრმა ხევებზე აგებდნენ ხიდებს. ზოგიერთი ასეთი ხიდი შემონახულია ჩვენს დრომდე, მაგალითად, აფხაზეთში, ქართლსა და კლარჯეთში. ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებისთვის დავითმა ქალაქი გორი განაახლა. იქ ქართველებთან ერთად სომხებიც ვაჭრობდნენ.

თბილისის მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით, მუსლიმებისთვის ვაჭრობა ძირითადი საქმიანობა იყო და მას დიდი შემოსავალი მოჰქონდა. სამეფო ხაზინის შესავსებად, მეფემ ვაჭრობით მიღებული გადასახადების გამოყენება გადაწყვიტა. მუსლიმი ვაჭრები თბილისში რომ დარჩენილიყვნენ, დავითმა მათ შეღავათები დაუწესა. მუსლიმების უბანში აკრძალული იყო ღორის ყოლა, დაკვლა და ხორცის გასაყიდად გატანა. დავითი პატივისცემით ეპყრობოდა მუსლიმ სწავლულებსა და სასულიერო პირებს. დამსახურების შემთხვევაში, მათ ასაჩუქრებდა კიდეც.

✓ დავალება

1. იმსჯელეთ, რა ღონისძიებებს ატარებდა მეფე დავითი ვაჭრობის ხელშეწყობისთვის. დღეს რა კეთდება ამ მიზნით?
2. შენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს გზების გაყვანას. მოიძიე ინფორმაცია დღეს არსებულ მნიშვნელოვან გზებზე (მაგალითად, ავტობანზე).
3. იმსჯელე, რა მნიშვნელობა აქვს ვაჭრობის განვითარებას ქვეყნის წინსვლაში.
4. შენი აზრით, რატომ დაუწესა დავითმა შეღავათები მუსლიმ ვაჭრებს?
5. იმსჯელე, რატომ უნდა გამოხატო შემწყნარებლური დამოკიდებულება სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანებისადმი?

წყარო 2. გელათის მონასტერი და აკადემია. აკადემიის სათავეში იდგა მოძღვართ-მოძღვარი. სასწავლებელში ისწავლებოდა გეომეტრია ანუ „ქვეყნის საზომლო“, არითმეტიკა – „რიცხვნი“, მუსიკა, ასტრონომია და სხვ.

თანამედროვე მსოფლიოში, რაც უფრო მაღალგანვითარებულია ქვეყანა, მით უფრო მეტად ზრუნავს იგი განათლებაზე. მეფე დავითი დიდ ყურადღებას აქცევდა თავის სამეფოში განათლების გავრცელებას. ქართველ ახალგაზრდებს უმაღლესი განათლების მიღება მხოლოდ საზღვარგარეთ შეეძლოთ, რადგან იმ დროისთვის საქართველოში ასეთი დაწესებულება არ არსებობდა. დავითმა ამაზე იზრუნა. 1106 წელს მან გელათის მონასტრის აგება გადაწყვიტა. იქვე დაარსდა უმაღლესი სასწავლებელი – აკადემია. აქ მეფემ საზღვარგარეთ მოღვაწე სწავლულები **იოანე პეტრიწი** და **არსენ იყალთოელი** მიიწვია.

დავითის მეფობამ საფუძველი ჩაუყარა ქართულ მონარქიას, რომელმაც 100 წელზე მეტხანს იარსება.

წყარო 3. ცნობილი ადამიანები განათლების მნიშვნელობაზე

სოკრატე, ბერძენი ფილოსოფოსი: „ყველაზე დიდი სიკეთე ცოდნაა, ყველაზე დიდი ბოროტება კი – უგუნურობა“.

აკაკი წერეთელი: „მხოლოდ განათლება იყო და არის წყარო ყოველგვარი ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისა“.

ილია ჭავჭავაძე: „ქვეყანა იმით კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულგანათებული კაცები არა ჰყავს“.

დავალება

6. დაახასიათე, რა ვითარება იყო გელათის მონასტრის მშენებლობის დროს დავითის სამეფოში. განსაზღვრე, როგორ ახასიათებს დავითის სახელმწიფო გეგმებს მეფის გადაწყვეტილება უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შესახებ.
7. სად შეიძლება დღეს უმაღლესი განათლების მიღება? გაიხსენე, ვინ ხელმძღვანელობდა თანამედროვე უნივერსიტეტის დაარსებას?
8. იმსჯელეთ, რატომ მიაჩნიათ, რომ განათლება ქვეყნის განვითარების დონეს განსაზღვრავს.

დავალება

9. იმსჯელე წყარო 3-ზე. როგორ გესმის ამ ცნობილი ადამიანების გამონათქვამები? რატომ შეიძლება უგუნურობა, ანუ გაუნათლებლობა ბოროტების მიზეზი გახდეს? რატომ არის განათლება ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობის წყარო? რატომ თვლიდა ილია ჭავჭავაძე, რომ ქვეყნის სისუსტის მთავარი მიზეზი განათლებული ადამიანების სიმცირეა?
10. დაიტანე დროის ხაზზე თანმიმდევრობით დავითის მეფობის წლებში მომხდარი შენთვის ცნობილი მოვლენები. გამოყავი მათ შორის, შენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი. დაასაბუთე პასუხი.
11. იმსჯელეთ, რატომ უწოდა შთამომავლობამ დავითს „აღმაშენებელი“?
12. დაწერე თემა „დავითი და მისი ხანა“ (არაუმეტეს 200 სიტყვისა).

8.11 სახელმწიფო მმართველობა გაერთიანებულ საქართველოში

როგორი იყო სახელმწიფო მმართველობა გაერთიანებულ საქართველოში და როგორია დღეს?

წყარო 1. ქართველი მეომარი

დავით აღმაშენებლის მეფობის წლებში ჩამოყალიბდა სახელმწიფოს მართვის შემდეგი სისტემა: ცენტრალური ხელისუფლება – **სამეფო კარი** და ადგილობრივი მმართველობა – **საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი**.

ცენტრალური ხელისუფლება თავმოყრილი იყო დედაქალაქში სამეფო კარზე. ცალკეულ სახელმწიფო უწყებას შესაბამისი **ვაზირი** განაგებდა.

დავალება

1. გაიხსენე, რუკის (გვ. 74) დახმარებით, როგორ გაერთიანდა საქართველოს სამეფო და რა ტერიტორიები შემოუერთდა სახელმწიფოს დავით აღმაშენებლის მეფობის დროს.
2. გაიხსენე, რა ერქვა დავით აღმაშენებლის დროიდან პირველ ვაზირს.



წყარო 2. დავითის დროინდელი ქართული სახელმწიფოს მმართველობის სქემა

დავალება

3. შენი აზრით, რატომ ემორჩილებოდნენ ერისთავები უშუალოდ მეფეს.
4. ჩამოაყალიბე შენი სიტყვებით, როგორ განაგებდა მეფე სახელმწიფოს.
5. გაიხსენე, ძირითადად, მეურნეობის რომელი დარგი იყო განვითარებული ძველად საქართველოში. დღეს მეურნეობის რომელი დარგებია განვითარებული?

წყარო 3. ქართველი გლეხი

საქართველოში ძველად მიწა სახელმწიფოს ანუ მეფეს ეკუთვნოდა, რომელიც მას დამსახურების მიხედვით ერისთავებზე ანაწილებდა. **ერისთავები** მეფისაგან ბოძებულ მიწას აზნაურებს აძლევდნენ. აზნაურების მიწას მასზე მცხოვრები გლეხები ამუშავებდნენ და გადასახადებს იხდიდნენ.

მოქალაქეები გადასახადებს დღესაც იხდიან. სახელმწიფოს არსებობისთვის ისინი აუცილებელია. გადასახადების სახით ხაზინაში შესული თანხებით სახელმწიფო უზრუნველყოფს სხვადასხვა უწყების (პარლამენტის, მთავრობის, ყველა სახელმწიფო დაწესებულების) ფუნქციონირებას, აშენებს გზებს, ხიდებს, სკოლებს, ბაღებს, საბავშვო და სპორტულ მოედნებს, აწყობს სახალხო ზეიმებს და კულტურულ ღონისძიებებს, აფინანსებს სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, ჯანდაცვას და სხვ.

წყარო 4. სახალხო დღესასწაული 26 მაისი

წყარო 5. საბავშვო და სპორტული მოედნები

ლექსიკონი

მუნიციპალიტეტი – თვითმმართველი ქალაქი ან თვითმმართველი თემი, რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ცენტრი, ასევე, მმართველი ორგანოები – გამგეობა, მერია და საკრებულო.

უკვე XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში მეფე აღარ არის. XX საუკუნის 90-იან წლებში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყნის მმართველობის სისტემა ახალია. საქართველოს სათავეში არის ხალხის მიერ არჩეული **პარლამენტი**. მთავრობის მეთაურს – **პრემიერ-მინისტრს**, რომელიც ქვეყანას მართავს, პარლამენტი ნიშნავს და ამტკიცებს. პრემიერ-მინისტრი მთავრობის შემადგენლობას – **მინისტრებს** პარლამენტს წარუდგენს, რომელიც მას ამტკიცებს. ამიტომ მთავრობა პარლამენტის წინაშეა პასუხისმგებელი. სახელმწიფოს მეთაურად, საქართველოს ძირითადი კანონის ანუ **კონსტიტუციის** მიხედვით, **პრეზიდენტი** ითვლება, რომლის უფლებები შეზღუდულია. ის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად ითვლება და საქართველოს სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრაზე წარმოადგენს.

თუ ფარნავაზის დროს ქართლის სამეფო საერისთავოებად იყოფოდა, თანამედროვე საქართველო იყოფა ორ ავტონომიურ რესპუბლიკად (აფხაზეთი და აჭარა) და 79 **მუნიციპალიტეტად**. მუნიციპალიტეტები ცხრა მხარეშია გაერთიანებული, სადაც მთავრობას **სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი** წარმოადგენს.



წყარო 6. თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოს მმართველობის სქემა

დავალება

6. შეადგინე ცხრილი: მმართველობა ძველად და ახლა საქართველოში.
7. შეუსაბამე თანამედროვე მინისტრები დავითის დროინდელ ვაზირებს (წყარო 2, გვ. 80).

დავალება

8. მოიძიე ინფორმაცია, შენს მხარეში რომელი მუნიციპალიტეტები არსებობს. შენ რომელ მუნიციპალიტეტში ცხოვრობ?
9. ბოლო ორი წლის განმავლობაში შენ უკვე დაწერე არაერთი წერილი მუნიციპალიტეტის სახელზე, ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად. აქედან გამომდინარე, ივარაუდე, რა ფუნქციები აკისრია მუნიციპალიტეტს. დაწერე კიდევ ერთი წერილი, სადაც ადგილობრივ თვითმმართველობას შესთავაზებ რეკომენდაციებს შენი ქალაქის/სოფლის/მხარის მნიშვნელოვანი პრობლემის მოსაგვარებლად.

რა ვიცი და რა შემიძლია

1. მოიფიქრე, თანაკლასელებთან ერთად, აღნიშნული პროექტის განხორციელების გზები და განახორციელე იგი.

პროექტის დასახელება	ჩვენ ვებრძვით ეკოლოგიურ საფრთხეებს
პრობლემის აღწერა	კვლევების მიხედვით დადგინდა, რომ ბოლო წლებში საქართველოს ბევრ ქალაქში ჰაერი ზომაზე მეტად დაბინძურდა. ჰაერთან ერთად, გაუარესებულია სხვა ეკოლოგიური მაჩვენებლები.
პროექტის მიზანი	სხვადასხვა ეკოლოგიური პრობლემის გამოვლენა და მათ წინააღმდეგ ბრძოლა. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, საზოგადოებაში დაიწყო აქტიური საინფორმაციო კამპანია. მიბაძე მათ, დახატე პლაკატი და თანაკლასელებთან ერთად დაგეგმე საინფორმაციო შეხვედრები ყველგან, სადაც შესაძლებლობა გექნება. გახსოვდეს, „ყველანი ერთი ჰაერით ვსუნთქავთ!“

2. წინ ზაფხულის არდადეგებია. საჭიროა ზრუნვა ჯანმრთელობის გაკაჟებაზე. ამიტომ მოიფიქრეთ განცხადება გამგეობის სახელზე სპორტული მოედნის მოწყობასა ან საცურაო აუზის აშენებასთან დაკავშირებით.

- დაწერეთ გამგეობის სახელზე წერილი, რომელშიც სთხოვთ თქვენს მიერ წინასწარ შერჩეულ ადგილას სპორტული მოედნის მოწყობას ან საცურაო აუზის აშენებას.
- დაასაბუთეთ განცხადებაში, რატომ გსურთ ამ მოედნის მოწყობა ან აუზის აშენება, თანაც მითითებულ ადგილას.